60

ᲓᲘᲓᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ!

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲙᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 ᲬᲔᲚᲘ
ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ
21 ᲛᲐᲘᲡᲘ
№ 118 (18060)
ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.



Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲔᲒᲔᲑᲔᲑᲐ ᲙᲕᲘᲠᲕᲐᲡ ᲡᲪᲣᲛᲠᲔᲑᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ და მთელი საქართველო გულითადად ხვდებიან სტუმრებს, რომლებიც რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოდიან საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლის თავის დღესასწაულზე. ოდინდელი ტრადიციისამებრ მომმე რესპუბლიკების დიდი სახელოვანი ოჯახი აპირებს ფართოდ და საზეიმოდ აღნიშნოს თავის ერთ-ერთი ძმის — საბჭოთა საქართველოს დაბადების დღე.

20 მაისს თბილისის აეროპორტში საქართველოს დედაქალაქის ათასობით მცხოვრები მოვიდა. მათ აზრებსა და გრძნობებს ზუსტად გამოხატავენ ტრანსპარანტები, რომლებითაც მორთულია აეროპორტის ტერიტორია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო!“, „დიდება სკკპ-ს!“, „გაუმარჯოს ხალხთა ლენინურ მეგობრობას!“, „გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!“. გაზაფხულის ყვავილების თაიგულები — გულითადი სტუმართმოყვარეობის ნიშანი — რესპუბლიკის ძვირფასი სტუმრებისთვის არის განკუთვნილი.

ჩამოდის რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაცია. მას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ჟურნალ „მოსკვას“ მთავარი რედაქტორი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მწერალი მ. ნ. ალექსეევი, ბელგოროდის ოლქის კოლმეურნეობა „რუსეთის“ მეღორეობის ფერმის გამგე, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. პ. დრუზეკა, კუზნეცკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის საბრძმედე საამქროს მეაირე, სოციალისტური შრომის გმირი, საპატიო მეტალურგი, საკავშირო პროფსაბჭოს წევრი ა. მ. კოტენკო;

ჩამოვიდა უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. შჩერბიცკის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან პარტიის ხერსონის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნ. გირენკო, კიევის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ა. ზგურსკი, კიევის ქარხანა „არსენალის“ მხეზავი, სოციალისტური შრომის გმირი ა. ა. დონჩენკო;

ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ი. კისელიოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან მინსკის სატრაქტორო ქარხნის მეკოპე, სოციალისტური შრომის გმირი ლ. ა. დემჩენკო, პოლოცკის რაიონის სტელენიცკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ე. ი. კომსტაჩი;

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

მოკმე რესპუბლიკების დელეგაციები ჩამოდიან საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 60 წლის თავის დღესასწაულზე

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲠᲘ ᲘᲠᲐᲖᲛᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲬᲔᲕᲐᲓ ᲛᲔᲗᲘᲗᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲨᲘ“.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

ᲕᲐᲨᲐ, ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ!

ᲓᲘᲓᲘᲐ ᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ მუდამ გრძნობს ცოცხალ კავშირს თავის ისტორიასთან, შეუძლია გამოიყენოს ყოველივე საუკეთესო თავისი ისტორიული ტრადიციებიდან და გახადოს იგი დღევანდელი დღის კუთვნილება, — ეს სიტყვები ჩვენმა საპატიო და უძვირფასესმა სტუმარმა **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა** წარმოთქვა სულ ახლახან, 1981 წლის 9 მაისს, ქალაქ კიევში, სამამულო ომისადმი მიძღვნილი მემორიალური კომპლექსის გახსნის დღეს, რომელიც აღმართულია დნეპრის მაღალ კბოდეზე; ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ქართველ ხალხზე.

საბჭოთა საქართველო, თანასწორი თანასწორთა შორის თავისუფალი საბჭოთა ხალხების დიდსა და ურღვევ ოჯახში — განუყრელად დაკავშირებული ამ მომმე ხალხებთან, მათთან ერთად რომ აშენებს კომუნიზმს — მთელი კაცობრიობის ამ ნათელ და მზიურ მომავალს, — მუდამ, ყოველ ნაბიჯზე მართლაც საოცრად წრფელი გულით და სიმართლით განიცდის ისტორიას, ცოცხალი ძაფებით, ცოცხალი და მფეთქავი გულით არის გადაბმული და დაკავშირებული მასთან, ისევე როგორც ის წარსული იყო დაკავშირებული ქართველი ერის მომავალთან, ესე იგი დღევანდელ დღესთან.

დიახ, ეს ასე იყო და ამის დამადასტურებელი მაგალითებით სავსეა ქართველი ხალხისა და ქართული ლიტერატურის ისტორია. წარსული, მთელი ეპოქა, ერთი კაცივით გრძნობდა, ხედავდა და შორიდან უგდებდა ყურს მომავლის ნაბიჯებს; მაშ რამ, თუ არა ამ გრძნობამ, ამ იდუმალმა მისნურმა გუმანმა დანერინა ილია ჭავჭავაძეს შორეული პეტერბურგის მახლობლად, ქალაქ პავლოვსკში, 1860 წლის 14 ივლისს „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“, რომელშიც დახატულია მომავლის საქართველო, თავისუფალი საქართველო და რომელშიც არის ასეთი წინასწარმეტყველური სიტყვები: „მოვიდა დიდხნის სანატრელი, დედავ, ამშვავი, ჩვენი ქვეყანა, საქართველო გაღვიძებულა, მთელი კავკასი, მტერზე რისხვით აღმომქმნავი, ერთის აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა.. ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს, კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ფიქრობს და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება, დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება“.

მომდევნო, 1861 წელს ილია ჭავჭავაძემ, პირველმა ქართულ მწერლობაში, იხმარა სიტყვა „რევოლუცია“ და დასძინა: „სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირ-დაირიოს და მერე დაწმინდება ხოლმე. ასეა ყველაფერი ამ ქვეყანაზე“. ამრიგად, ილია რევოლუციას გარდაუვალ აუცილებლობად თვლიდა; იგი ნათლად ხედავდა თავისი ხალხისა და მომმე ხალხების მომავალს და ანდერძივით უბარებდა მე-20 საუკუნეს: ის, რაც ფიქრსა და ოცნებაში წამოიწყო, მაგრამ საქმით ვერ გააკეთა მე-19 საუკუნემ — ადამიანის განთავისუფლება სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილებიდან — შენ, მეოცემ უნდა გააკეთოო, „ადამიანის გონება მეცხრამეტე საუკუნის ამ ანდერძზე უდიდეს

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და ვერ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქითო“. ეს ბრძნული სიტყვები ილიამ დაწერა 1899 წლის 31 დეკემბერს, ესე იგი ორი საუკუნის მიჯნაზე, და წერილსაც „მეცხრამეტე საუკუნე“ მისცა სათაურად; **ასეთი შესანიშნავი ანდერძი დატოვა მარადისობაში წასულმა მეცხრამეტემ, რომელიც მეოცემ ბრწყინვალედ აღასრულა 1917 წლის ოქტომბერში, როცა გადაიშალა კაცობრიობის ისტორიის ახალი ფურცელი.**

ეს არის შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ რა ძალითა და რაოდენი სიმტკიცით არიან გადაბმულნი ერთიმეორეზე წარსული და მომავალი, ისტორია და თანამედროვეობა. და თვითონ ილიაც კარგად გრძნობდა ამ იდუმალ ძაფებს და აკი თქვა კიდეც: „მყობადს ავხადე ერთი კუთხე დიდი ფარდისა, და ეს ვიხილე — მომიტევეთ ეს სითამამე“. ასე სჭვრეტდა პოეტი დღევანდელ დღეს.

მეორე ბრწყინვალე მაგალითი წარსულიდან მომავლის ნათელხილვისა გვხვდება აკაკი წერეთლის ლექსებში. აი, როგორ ხატავდა აკაკი მომავლის საქართველოს: „ვხედავ, ვხედავ, მომავალში გამოსულა მუშად ერი, ერთმანეთთან შეთანხმ ე ბ ი თ ძლიერი და ბედნიერი. გზა გაჰყავს და ხიდსაც აგებს, სისხლითა და ოფლით რწყულსა და მომავლის მოიმედე, აღარ იმჩნევს წყლულად წყლულსა. გამარჯობა ნამდვილ მუშებს! ვაშა, ვაშა, მომავალსა, ის ასწორებს დღევანდლების გამრუდებულ გზა და კვალსა. გაასწორებს და გზას მისცემს ტარიელს და ავთანდილსა, ამირანის სისხლ-ცრემლებით ქართველებად გამოზრდილსა. ნეტავ იმ დროს და მის დამსწრეს, ზეზეულ ჰგრძნობს ცხონებასა. არც ისურვებს ბატონობას და არც ვისმე მონებასა, აღიარებს მხოლოდ ძმობას, თანსწორობას, სიყვარულსა და საზღვარი არ ექნება მის უმანკო სიხარულსა! რა უყოთ რომ ვერ მოვესწარ, სიკვდილის წინ ხომ მაინც ვგრძნობ მომავალ ბედს! და ამ გრძნობას სულთამბრძოლი თან ჩავიდნობ“.

ასე ოცნებობდა ქართველი ერის ეს ორი დიდი მესიტყვე და მებაირახტრე, ქართლის ბედის ეს ორი დიდი გამგებელი და მოჭირნახულე და ისე ძლიერი, ისე მომწიფებული და ხალხის სულსა და გულში ფესვგამჯდარი იყო ეს ოცნება, იქამდე ძლიერი იყო ეს სწრაფვა თავისუფლებისადმი, რომ პოეტთა ლექსებში იგი გარდაისახა წინასწარმეტყველებად, წინასწარხილვად, იდეები უკვე რეალობის სახითა და ფორმით წარმოდგნენ; ეს იყო ოცნების მატერიალიზაცია და ასე უნდა-გავიგოთ ჩვენ ილიას და აკაკის აქ დამოწმებული ლექსების ისტორიული აზრი: ცხადია, ყველაფერი ეს იყო გამოძახილი, იყო ანარეკლი იმ მძლავრი რევოლუციური აღმავლობისა, რომელიც მოედო რუსეთის მთელ იმპერიას და კერძოდ საქართველოსაც. ილიას „ქართველის დედა (სცენა მომავალი ცხოვრებიდან)“, როგორც ითქვა, დაიწერა 60-იან წლებში, ხოლო აკაკის „საქართველოს დღევანდელი სახე“ — პირველი რევოლუციის კვირაძალში, როცა ძველი სამყაროს წინააღმდეგ მებრძოლნი ის-ის იყო გამოდიოდნენ ასპარეზზე და **პოეტებმაც ნათელ მხატვრულ სახეებში გამოხატეს ის განახლების პროცესი, რომელიც ხალხის ფართო მასებში მიმდინარეობდა, სადაც მშრომელები ლენინის პარტიის მეთაურობით უკვე ირაზმებოდნენ კაპიტალიზმის დასამხობად.**

როგორც ვხედავთ, თერგდალეულები — მებრძოლი პატრიოტები და, იმავე დროს, ხალხთა დაძმობილების, დამეგობრების მგზნებარე მქადაგებლები იყვნენ. ეს მათ ტრადიციით გადმოეცათ, თითონ არ დაუწყიათ, ეს რუსთაველიდან იწყება... მაგრამ ეს ხომ შუა საუკუნეებია. მომდევნო ეპოქებში უფრო ღრმად იდგამს ფესვს იდეა თავისუფლებისა. ჩვენ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცნობთ და საგულდაგულოდ შესწავლილი არა გვაქვს XIX საუკუნის პირველი ნახევარი, ის დრო, როცა თბილისსა და მთელ საქართველოს ერთბაშად მოაწყდნენ ცარიზმის მიერ დევნილი დეკაბრისტები და მათი თანამოაზრე პოეტები — პუშკინი, ლერმონტოვი... ისინი ძალზე შინაურებივით ტრიალებდნენ მოწინავე ქართულ ოჯახებში, იმ დროის ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში... ტყუილად კი არ თქვა ბელინსკიმ, საქართველო მათი მუზისა და შთაგონების აკვანი იყოო.... რა იავნანა წარმოითქმოდა იმ აკვნის თავზე — არ უნდა ვიცოდეთ? აი, მაგალითად, უნებურად ფიქრობ კაცი — საიდან გაჩნდა რუსულ მწერლობაში მანამდე მისთვის სრულიად უცნობი თემა — ვეფხვთან შებრძოლების ნამდვილად ქართული თემა, რომელიც ესოდენ შესანიშნავად ასახეს მ. ლერმონტოვმა თავის პოემაში „მწირი“ და ა. ბესტუჟევ-მარლინსკიმ თავის რომანში „ამალათ-ბეგი“. რუსთაველის დიდ ჰუმანიზმში ამ მოტივს ადამიანური საწყისის გაღვიძების და სიშმაგის დათრგუნვის ფუნქცია აკისრია. ასეა გაგებული ეს

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲛᲐᲘᲡᲘ

დგას ოქროს საწმისით, დგას ბეჭებგაშლილი
ბერმუხა, და არა ბერმუხის აჩრდილი,
რა მზეა, რა ზღვაა, რა მთა და მდელოა —
გამარჯვებული საქართველოა!
გაისმის „ლილეო“, „ლილეო“ გაისმის,
და ეს დღე საქვეყნოდ სასახელოა,
ოქტომბრის დღე არის — დღე მისი მაისის.
კავკასიისკენ გუგუნით მომავალ
თვითმფრინავს სწამს კიდეც, რომ უკვე
შინა ვარ,
ფრთებგაშლილი უღრუბლო ცას ისე გაჰკვრია,
სამშობლო ქვეყანას როგორ არ ჰქვია.
შორს ვიღრე მომღიმარ
თვალს გადავავლებდი,
მეც ამ დღის ნათელი შემომაფრქვია
და შემომაგება აღმოსავლეთი.
იქ, სადაც ანთია ზეიმი ამ ცისკრის,
იქ საუკუნეთა ყველა დღე თავს იყრის,
იქ ოქროს საწმისით დგას ბეჭებგაშლილი
ბერმუხა, და არა ბერმუხის აჩრდილი.
ცაც ამაღლებული და განახლებული,
რა მზეა, რა ზღვაა, რა მთა და მდელოა —
გამარჯვებული საქართველოა!

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ.

საქართველოს სახალხო მხატვრის თენგიზ სამსონაძის პლაკატი.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ 1981 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წარდგინება შოთა რუსთაველის სახელობის 1981 წლის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ და ადგენენ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წინადადება, რომ შოთა რუსთაველის სახელობის 1981 წლის პრემიები მიენიჭოთ:

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲜᲝᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲔᲚᲘᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ (სიკვდილის შემდეგ) — 1978-1980 წლებში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ლექსებისათვის.

ᲚᲐᲡᲨᲣᲠᲘᲐᲡ ᲛᲣᲨᲜᲘ ᲢᲐᲘᲡ ᲫᲔ — აფხაზურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნისათვის.

ᲨᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔᲡ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ — რომანისათვის „აქტიური მზის წელიწადი“.

ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔᲡ ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔᲡ ᲫᲔ — IX კვარტეტისა და თორმეტი საკვარტეტო მინიატურისათვის.

ᲡᲐᲮᲕᲘᲗᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲗᲝᲛᲘᲫᲔᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ (ᲒᲘᲒᲘ) ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘᲡ ᲫᲔ — ფერწერული პანოსათვის ბიჭვინთის დ. გულიას სახელობის ლიტერატორთა სახლის კონფერენცდარბაზში.

ᲙᲘᲜᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲗᲐᲑᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲔᲕᲐᲖ ᲨᲐᲚᲐᲕᲐᲡ ᲫᲔ — დოკუმენტური კინოდილოგიისათვის „ქართველები იტალიაში“ („კვალი ნათელი“ და „ალპური ვარსკვლავი“).

ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲡᲢᲣᲠᲣᲐᲡ ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲘᲡ ᲫᲔ — დამდგმელ რეჟისორს,

ᲕᲐᲜᲭᲔᲚᲡ ᲒᲘᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ — კომპოზიტორს,

ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔᲡ ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲞᲐᲕᲚᲔᲡ ᲫᲔ — დამდგმელ მხატვარს,

ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔᲡ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲫᲔ — მთავარი როლის შემსრულებელს — თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრში დადგმული სპექტაკლისათვის „რიჩარდ III“.

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲣᲐᲕᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲔ — ქალაქ თბილისის ბარათაშვილის ბულვარის ისტორიული განაშენიანების რეკონსტრუქცია-რეგენერაციისათვის და კოლმეურნეობის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელის არქიტექტურისათვის.

ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲛᲐᲬᲘᲚᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ (ᲛᲔᲠᲘ) ᲨᲐᲚᲐᲕᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ — საბავშვო ოპერისათვის „ნაცარქექია“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ზ. ᲞᲐᲢᲐᲠᲘᲫᲔ

1921·1981

60

ლედაქალაქი ეგებება კვირფას სტუმრებს

(დასასრული)

უზბეკეთის სს რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, დელეგაციაში შედიან სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 7 ხიდსაშენებელი ტრესტის მმართველი ნ. ა. ადეიშვილი, ტაშკენტის „სოფლმანქანის“ ქარხნის ხარატი ი. ი. სტეპანენკო;

ჩამოდის აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. ა. ალიევის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან პარტიის შუახის რაიკომის პირველი მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი ფ. რ. მუსტაფაევი, კიროვაბადის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე, სოციალისტური შრომის გმირი გ. ა. ალიევი, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ბ. აბდულაევი;

ლიტვის სს რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობს ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. პ. გრიშკევიჩუსი, დელეგაციაში შედიან პანევეჟისის რაიონის კოლმეურნეობა „ტიესის“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. პ. მეილუსი, ვილნიუსის ვ. ი. ლენინის სახელობის საანგარიშო მანქანების ქარხნის ელექტრომემონტაჟე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. ვ. შნიტკოვა;

ჩამოდის მოლდავეთის სს რესპუბლიკის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ს. დემირჩიანი. დელეგაციის წევრები — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ნაირიტის“ მეკაბარატე, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ს. მ. პეტროსიანი, პარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ნ. ნერსესიანი, სომხეთის სსრ სახალხო მხატვარი ს. მ. მურადიანი;

სტუმრებს დახვდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი , ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ე. ოდინცოვი. საქართველოს ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

20 მაისს დელეგაციები ეცნობიდნენ თბილისს, ხვდებოდნენ რესპუბლიკის მშრომელებს. (საინფორმი).

წინა სტუმრობა საქართველოში

1966 და 1971 წლებში, საბჭოთა საქართველო თავის უძვირფასეს სტუმარს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მასპინძლობდა. ზემოდან პირველი სურათი გადაღებულია 1966 წლის 30 ოქტომბერს ქ. რუსთავში, სადაც ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა და ესაუბრა ქართველ მეტალურგებს; შემდეგი ორი სურათი კი გადაღებულია თბილისში 1971 წლის 18 მაისს, საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავის საზეიმო დღეებში; მეოთხე სურათზე თქვენ ხედავთ მხატვარ გ. მაისურაძის ფერწერულ ტილოს „ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა ქართველ მცირემიწელებთან“;

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ლეონიდ ილიას ძე მიესალმება თბილისელებს

თბილისის აეროპორტი, 1971 წ. მაისი.

მოძმე ერების ოჯახში

ვაშა, ამ ახალ საქართველოს!

(დასასრული)

რუსთაველიდან გალაკტიონამდე („შმაგი ვით, ვეფხვი გაჭრილი“) და ხალხურ პოეზიამდე („ბალადა ვეფხისა და მოყმისა“). ეს მხოლოდ ერთი ასპექტია იმ რთული ურთიერთგავლენიდან, რომელსაც რუსული და ქართული პოეზია ახდენდა ერთიმეორეზე და ამით არა მარტო აცნობდნენ, არამედ **აახლოებდნენ, ამეგობრებდნენ ერთიმეორეს თავთავიანთ ხალხებს, თესავდნენ სიყვარულს მათ შორის; და მარტო პუშკინი და ლერმონტოვი კი არა, მთელი მომდევნო თაობები, როგორც რუსები, ისე ქართველები XIX საუკუნის დასაწყისიდან აგერ მეოცის თითქმის ბოლომდე, ასე მხარდამხარ იდგნენ, და მარტო პოეტები კი არა, ჯარისკაცებიც, როცა ისინი იცავდნენ მოსკოვს და უტევდნენ ბერლინს, მხარდამხარ იდგნენ და დგანან შრომაშიც, ჭირშიც და ლხინშიც. ეს არის საბჭოთა ქვეყნის სიძლიერის ურყევი გრანიტისებრი საფუძველი.**

ქრონოლოგიის თვალსაზრისით, რა არის ექვსი ათწლეული, თუ არა წვეთი ზღვაში იმ ქვეყნის ისტორიისათვის, რომელმაც ჯერ კიდევ მესამე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე სახელმწიფოებრივი წესით დაიკონონა ქართული ენა („ფარნავაზ... განავრცო ენა ქართული და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“), ეს ის დროა, როცა საქართველოს მეზობლად ხუხულასავით დაიშალა ალექსანდრე მაკედონელის მსოფლიო იმპერია და მისი ტერიტორია დაინაწილეს მისივე სარდლებმა, ეგრეთ წოდებულმა დიადოხებმა, რომელთაგან ვერც ერთმა ვერ შესძლო ოდნავ მაინც დაეჩნია რამე კვალი თავისი ქვეყნის კულტურის ისტორიისათვის.

დიახ, სამოცი წელი მცირე დროა ისტორიისათვის, მაგრამ ერთი გადავხედოთ, რამდენი რამ შეიძლო თავისუფალი ხალხის შრომამ, როგორ გარდაქმნა, როგორ ააყვავა მან ძველი ქართული მიწა. ბრძნულმა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ შექმნა ყველა პირობა იმისათვის, რათა აყვავებულიყო ქართული ეროვნული კულტურა და თავის მწვერვალებში გათანაბრებოდა ოქროს ხანის რენესანსულ მწვერვალებს — გათანაბრებოდა კლმითაც, ფუნჯითაც, საჭრეთელითაც და ჭედური ხელოვნებითაც; თანამედროვე ქართული პოეზია თამამად დაუდგება გვერდით რომელიც გნებავთ საუკუნის პოეზიას, და განა ამას არ ამბობდა დიდი გალაკტიონი: „არ მეშინია მე სხვისა, ქართველში გამოხედვაა იმ ერთი ვინმე მესხისა“...

ექვსი ათწლეულის მანძილზე საბჭოთა საქართველოს უდიდესი წარმატებანი დამაჯერებლად ადასტურებს, რომ სოციალიზმმა უზრუნველყო საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის პროგრესის ისტორიაში უმაგალითო ტემპი და გაქანება. ოქტომბრის დიდი მონაპოვარი, საბჭოთა მოქალაქეების უდიდესი უფლებანი და თავისუფლებანი, რომელთა მსგავსი მანამდე არასოდეს უნახავს ისტორიას, და მხოლოდ უოცნებია მასზე — ხალხის ეს დიადი მონაპოვარი ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი საბჭოთა საქართველოს ახალ კონსტიტუციაში. ეს არის დიდი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც თვალწინ წარმოგვიდგენს დღევანდელი საქართველოს ცოცხალ სურათს.

დღევანდელი საბჭოთა საქართველო — ეს მართლაც მომხიბლავი სანახაობაა. ადამიანების შრომამ, ცოდნამ და უნარმა, სამშობლოს სიყვარულმა სასწაულები მოახდინა. ამას მოწმობს და მჭევრმეტყველურად ადასტურებს ხუთწლედების მატიანე, ქვეყნის აყვავების ისტორია, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი ხუთწლედები — ეს არის ეკონომიკის ენაზე თარგმნილი ხალხთა ლენინური მეგობრობა. მომძმე რესპუბლიკების, მათ შორის, საქართველოს ბუმბერაზული წარმატებანი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა განუხრელად ისახამს ხორცს ლენინური ეკონომიკური პოლიტიკა.

განსაკუთრებით სასახელოდ დარჩება ისტორიაში მეათე ხუთწლედი, რომელსაც საქართველოსათვის საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო მოწინავე პოზიციებზე რესპუბლიკის გასვლის ხუთწლედი, როცა საქართველოს კომპარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის მართლაც გმირული, დაუღალავი და შეუპოვარი შრომის, საკითხებისადმი შემოქმედებითი მიდგომის, ურთულესი პრობლემების ახლებური და გაბედული გადაჭრის შედეგად საბოლოოდ დაძლეულ იქნა წინა ნლების ჩამორჩენა ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების დარგებში და ხალხის შემოქმედებითმა უნარმა და ძალ-ღონემ, მისმა ფანტაზიამ ლაღად გაშალა ფრთა; **„საქართველოში საქმე კარგად მიდის, და მეტად სასიხარულოა, რომ საქართველოს კომპარტია ირაზმება ხალი წარმატებების მისაღწევად მეთერმეტე ხუთწლედში“ — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამ სიტყვებმა ახალი ძალა, მეტი ხალისი და ენთუზიაზმი შემატა ჩვენს ხალხს, რომელიც მოძმე ხალხებთან ერთად, ამაყად და გაბედულად მიდის წინ, ისტორიის ჯერ უვალ გზებზე.**

ბედნიერების ფლები

მე იმ ბედნიერ თაობას ვეკუთვნები, რომელსაც წილად ხვდა დიდი პატივი ყოფილიყო საქართველოს კომპარტიის პირველი ყრილობის დელეგატი. თითქმის სამოცი წელი გვაშორებს ამ ყრილობას, რომელიც 1922 წლის 23 იანვარს გაიხსნა. ეს იყო ქართველ კომუნისტთა პირველი შეკრება მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტია გამოვიდა იატაკქვეშეთიდან და სათავეში ჩაუდგა ხალხის მასების ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობისათვის.

გურიის პარტორგანიზაციამ, რომელსაც მე წარმოვადგენდი, თუმცა დიდი დანაკლისი განიცადა მენშევიკების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობის ბატონობის წლებში, მაგრამ შინარჩუნა ძირითადი ძალები და მაშინ ერთ-ერთი უდიდესი იყო რესპუბლიკაში. მღელვარებით ვემზადებოდით ყრილობისათვის, მოუთმენლად ველოდით მის გახსნას.

ყრილობას 260 დელეგატი დასწრო; იგი შესავალი სიტყვით გახსნა ფ. მახარაძემ. მან მოკლედ დაახასიათა მდგომარეობა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, მოუწოდა დელეგატებს მჭიდროდ შეკავშირებულიყვნენ პარტიის გარშემო.

პარტიის დამაარსებელი, მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი ვ. ი. ლენინი ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს. რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სერგო ორჯონიკიძემ.

ყრილობამ ცხადყო ამერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების საბრძოლო თანამგობრობა. ყრილობაზე გამოვიდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტთა წარმომადგენლები, დღესაც კარგად მახსოვს ნარიმან ნარიმანოვის, ლენინური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწის მგზნებარე სიტყვა. ნარიმანოვი ერთ დროს საქართველოში მუშაობდა და დიდად პოპულარული იყო ქართველ კომუნისტთა შორის. იგი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას ჰქონდა ჩვენი ხალხისათვის, მოუწოდა ყრილობის დელეგატებს განემტკიცებინათ ამიერკავკასიის ხალხთა სოციალისტური თანამეგობრობა.

ყრილობამ განსაკუთრებული აღმავლობისა და დიდი აქტიურობის ვითარებაში ჩაიარა. დელეგატებმა, რომელთა უმრავლესობას გამოვლილი ჰქონდა მენშევიკური ხელისუფლების დილეგები, აგრეთვე იატაკქვეშეთის მძიმე წლები, თავი მოიყარეს რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, რათა განეხილათ ახალი ცხოვრების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

აქ იყვნენ ს. ორჯონიკიძე. ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეჭკორი, ს. ქავთარაძე, ს. მამულია, ლ. ღოღობერიძე, ლ. სუხიშვილი, ნ. კიკნაძე, ს. თოდრია, ს. მეძმარიაშვილი, მ. კახიანი, ტ. დევდარიანი, შ. ლეჟავა, მ. ოკუჯავა, ე. ეშბა, ა. ჯატიევი, ა. დოლიძე, შ. მათიკაშვილი, გ. სტურუა ვ. ბახტაძე. ეს იყო საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელთა და აქტიურ მოღვაწეთა ბირთვი.

აქ იყო აგრეთვე ძველი მუშების — პროფესიონალი რევოლუციონერების ჯგუფი — მ. ჩოდრიშვილი, ვ. სტურუა, ვ. ბოლქვაძე, კომპარტიის თვალსაჩინო მოღვაწეთა ჯგუფი, რომელიც საქართველოში რევოლუციური მოძრაობის სათავეებთან იდგა და ხალხის საქმის უანგარო ერთგულებით მოიპოვა ფართო პოპულარობა და მშრომელთა სიყვარული; აქ იყვნენ კომკავშირული მოძრაობის წამომწყებნი და აქტიური მონაწილენი ბ. ძნელაძე, გ. დევდარიანი...

ყრილობის მუშაობისადმი ხელმძღვანელობაში დიდი როლი შეასრულა ს. ორჯონიკიძემ.

ყრილობას საქართველოს კომუნისტების ყურადღება უნდა მიეპყრო პარტიის პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხებისათვის, შეეიარაღებინა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის, ახალი ცხოვრების მშენებლობის პროგრამით. ყრილობის დღის წესრიგიც ამიტომ იყო ვრცელი. ყრილობამ 9 დღეს გასტანა და მისი მუშაობა 31 იანვარს დამთავრდა.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ს. ქავთარაძე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა მ. ორახელაშვილმა. ყრილობაზე საზეიმო და ამავე დროს საქმიანი ატმოსფერო სუფევდა.

ყრილობაზე განიხილეს აგრეთვე პარტიული და საბჭოთა მშენებლობის, აგრარული პოლიტიკის, პროფკავშირებისა და კომკავშირის მუშაობის საკითხები. დიდი ადგილი დაეთმო სამეურნეო პოლიტიკის, კერძოდ, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებსა და სასურსათო გადასახადს. დელეგატებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს აგრარულ საკითხს.

რუსეთის კომპარტიის X ყრილობის მიერ გამოცხადებული ახალი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება დაიწყო საქართველოშიც, მაგრამ ამ პოლიტიკაზე გადასვლა ჯერ არ იყო დამთავრებული. იგრძნობოდა მრეწველობისა და სოფლის. მეურნეობის პროდუქციის მწვავე ნაკლებობა. საჭირო იყო განსაკუთრებით დაძაბული მუშაობა ამ სიძნელეთა გადალახვისათვის. ეს თქვა თავის მოხსენებაში სურსათის სახალხო კომისარმა ა. ერქომაიშვილმა. მან წაიკითხა ვ. ი. ლენინის დეპეშები, დაასახელა საქართველოს მშრომელებისადმი საბჭოთა რუსეთის უანგარო დახმარების მრავალი ფაქტი.

ყრილობის ყურადღების ცენტრში იყო ვ. ი. ლენინის 1921 წლის 14 აპრილის საპროგრამო წერილი აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებისადმი, რომელშიც დასახული იყო კავკასიაში სოციალიზმის მშენებლობის პროგრამა.

დელეგატების გამოსვლებსა და ყრილობის გადაწყვეტილებებში ფართო გამოხატულება პოვა პარტიის ზრუნვამ სოფლის მეურნეობისა და განსაკუთრებით მრეწველობის განვითარებისათვის.

ახალ საწარმოთა მშენებლობა ჯერ ვერ ხერხდებოდა. მტკვარზე ჰიდროელექტროსადგურის აშენება ოცნება იყო. მხოლოდ მოგვიანებით დიდი სიხარულით შევიტყვეთ, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდა და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის ვ. ი. ლენინის წინადადებით გამოიყო იმხანად დიდი თანხა — 700 ათასი მანეთი ოქროთი.

ყრილობამ ჩაიარა პარტიის რიგების ერთიანობისათვის ბრძოლის ნიშნით.

თითქმის ექვსი ათწლეული გავიდა საქართველოს კომუნისტთა პირველი ყრილობიდან, თუმცა ზოგჯერ მეჩვენება, თითქოს ეს არც ისე დიდი ხნის წინაა, გუშინ იყო და გული სიამაყით მევსება. რომ პირველი ყრილობიდან XXVI ყრილობამდე საქართველოს ბოლშევიკების, კომუნისტების მიერ განვლილი წლები ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის ტიტანური მუშაობის წლები გამოდგა. ყველას გვაცხარებს, რომ რესპუბლიკა თავისი არსებობის მე-60 წლისთავს უდიდესი მიღწევებით ხვდება.

ნ. მახარაძე,

1917 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს კომპარტიის I ყრილობის დელეგატი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ინდუსტრიული ძარღვი

ზოგი ქალაქის ისტორია შორეულ წარსულში იკარგება, ზოგის დაარსება-განვითარებაზე გაყვითლებული პერგამენტები გვიამბობენ, ზოგისას — ორმად მოხუცებულნი გვაცნობენ. რუსთავის ისტორიას რომ გავეცნოთ, გაზეთების დასტების გადათვალიერებაც კი არ არის საჭირო. თითოეული რუსთაველი, პიონერი იქნება თუ მოხუცი, ახალი სოციალისტური ქალაქის, რესპუბლიკის უდიდესი მეტალურგიული ქარხნის — ამიერკავკასიის შავი მეტალურგიის პირმშოს მშენებლობის მონაწილეა.

საქართველოს რესპუბლიკის, მთელი ჩვენი სამშობლოს ისტორიაშია ჩაწნული შენი ბედი, შენი საგმირო საქმენი, რუსთავო!

გიცქერით და ვტკბებით, ვამაყობთ შენით, ირგვლივ კი ჩქეფს და მღელვარებს ცხოვრება— გამდნარი ლითონის მოციცფრო ელვარებით, გიგანტური ქარხნების გუგუნით... რუსთავის ჩირაღდნები! ეს ჩირაღდნები არ ქრება არც დღისით, არც ღამით.

ჩვენ ვიცით, შორეულ წარსულში ამ ადგილას, სადაც ეს ლამაზი ქალაქი გადაჭიმულა, ხანძრით იყო ანდღვრიალებული ზეცა, მაგრამ ეს იყო მტრის ურდოების მიერ ცეცხლმოდებული ძველი რუსთავის ანარეკლი.

60 წლის წინათ, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გაიმარჯვა, რუსთავი ჯერ არ იყო რესპუბლიკის რუკაზე: იგი ბევრად გვიან გაჩნდა — დიდი სამამულო ომის შემდეგ, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების პერიოდში. 1948 წელს პატარა, დასახლება რუსთავი რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქი გახდა. დღეს იქ, სადაც საუკუნეთა მანძილზე გადაბუგული ველი იყო, აღმართულია მეტალურგიული ქარხნის კორპუსები, გაყვანილია საქართველოს დიდი ქიმიის ფლაგმანის — ქიმიური ქარხნის მილსადენები, გადაჭიმულია ახალგაზრდა, დღენიადაგ მზარდი ქალაქის საცხოვრებელი უბნები.

ათობით საწარმო, სამშენებლო და სამონტაჟო სამმართველო დაწესებულებაა ქალაქ რუსთავში.

ქალაქ რუსთავს სრულიად სამართლიანად უწოდებენ საქართველოს ინდუსტრიულ გულს. იგი აგებულია მეტალურგიული ქარხნის ბაზაზე, რომლითაც ამაყობს ქართველი ხალხი.

ქარხანაში სწრაფი ტემპით ვითარდება უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებანი. ჩვენ, რუსთაველმა მეტალურგებმა წარმატებით დავამთავრეთ მეათე ხუთწლედის დავალებანი და ჩავებით სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ამ შეჯიბრებაში ქარხნის ისტორიაში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს მივაღწიეთ.

წელს გადავწყვიტეთ შეჯიბრება წარვმართოთ ლოზუნგით: „საუკეთესო საწარმოო მიღწევები მუშაობის ნორმა უნდა გახდეს!“. მთლიანად ქარხანაში წლის დამდეგიდან აგრეგატების უმრავლესობა შარშანდელი რეკორდების დონეზე მუშაობდა ან აღემატებოდა კიდეც მათ.

ბევრმა მეფოლადემ და მგლინავმა დაუჭირა მხარი ჟდანოვის ქარხნის „აზოვფოლადის“ მეტალურგებისა და ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრის გ. გორბანის ინიციატივას და ჩაება მომიჯნავეთა შეჯიბრებაში დევიზით: „უმაღლესი ხარისხის ფოლადიდან შეკვეთთთ სახელმწიფო ხარისხის ნიშნიან ნაგლინამდე“.

ჩვენს ქარხანაში გავრცელებულია აგრეთვე შეჯიბრება ეკონომიის პირადი ანგარიშით.

საბჭოთა საქართველოს იუბილეს წინ ჩვენი მიღწევები ვაცნობებთ ჩვენს დონეცკელ, ტაგანროგელ, დნეპროპეტროვსკელ, ვოლგოგრადელ, ლიპეცკელ და ჟდანოველ მასწავლებლებს, აგრეთვე ჩვენს მოწფიეებს — სუმგაითელ მეტალურგებს. დიდი სიხარულით შევიტყვეთ, რომ აზერბაიჯანის ვ. ი. ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის მეფოლადეს, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატს ალახვერდი სულეიმანოვს, რომელიც 10 წელზე მეტია ჩვენს მეფოლადეს, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატს უშანგი ივანიშვილს ეჯიბრება, მაისში გამოშვებული ყველა ჩქაროსნული ნადნობი საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისათვის მიუძღვნია. ჩვენ, რუსთაველი მეტალურგები ვამაყობთ იმით, რომ ყრილობისწინა შეჯიბრებაში არც რუსთაველი ქიმიკოსები, მეცემენტეები, ამწემშენებლები და მშენებლები ჩამორჩებიან. წელს რუსთავის ქიმიურ ქარხანაში ამოქმედდა ჩვენს ქვეყანაში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ულექტროლიზური მანგანუმის ორჟანგის საამქრო. ეს პროდუქცია მეტად საჭიროა ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარებისათვის.

მეცემენტეებმა წარმატებით აითვისეს მაღალი მარკის ცემენტის გამოშვება, ამწემშენებლებმა — სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების მაღლივი შენობებისათვის საჭირო კომკურამწეების დამზადება.

იზრდება და მშვენდება ქალაქი რუსთავი. იგი ვეღარ ეტევა მტკვრის მარცხენა ნაპირზე და მარჯვენა ნაპირზეც გადაბიჯა. მარცხენა ნაპირზე მშენებლობა კარვებითა და ერთ-ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებით დაიწყეს. მარჯვენა ნაპირზე 12-16-სართულიანი სახლები შენდება. 1944 წელს როცა საძირკველი ეყრებოდა რუსთავს, აქ 135 კაცი ცხოვრობდა, ახლა აქაური მოსახლეობა 130 ათასს აღემატება. სკოლები და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტები, სახელმწიფო თეატრი, სპორტული კომპლექსები და სანატორიუმ-პროფილაქტორიუმები... ყველაფერი ისეა, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ ქალაქებში.

დაე, კვლავ იზრდებოდეს და მშვენდებოდეს რუსთავი — საქართველოს სიამაყე, დაე, მუდამ მძლავრად ძგერდეს საქართველოს ინდუსტრიული გული.

ამირან ფანცულაია,
ვარდიშ კობერიძე,
არჩილ ძამაშვილი,
ოთარ ლომიძე,

მეტალურგები, სოციალისტური შრომის გმირები.

კომისრის გულისხმიერება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, თუ რა დიდ მზრუნველობას, გულისხმიერებას იჩენდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი საბჭოთა მეომრებისადმი.

ჩემს სადისერტაციო შრომაზე მუშაობისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივში მივაკვლიე ამის დამადასტურებელ სინტერესო დოკუმენტს (ფონდი 14. საქმე 12392).

როგორც მოგეხსენებათ, წითელი არმიის რიგებში ქართველ მეომართაგან ბევრმა სუსტად იცოდა რუსული. მათი მორალური მობილიზაციის, არმიის ნაწილებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით მაშინ ჯერ კიდევ ბრიგადის კომისარმა ლ. ი. ბრეჟნევმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში ითხოვა, რომ რაც შეიძლება უმოკლეს დროში ქართველი წითელარმიელებისათვის მათ მშობლიურ ენაზე გამოეგზავნათ კრებული, რომელშიც შეეიდოდა უმაღლესი მთავარსარდლობის სამამულო ომის პერიოდის ბრძანებები და ყველა მიმართვა ხალხისა და ჯარისადმი.

ასეთი დიდი მზრუნველობა საბჭოთა მეომრებისადმი, ჩვენი ხალხისადმი მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოჰყვა, და დღესაც, მისი დაუცხრომელი ღვაწლის შედეგად უკვე ოცდათექვსმეტი წელია მშვიდობიანი ცა დაგვნათის.

მაიორი ვ. შევჩენკო.

შეხვედრის სიხარული

ს. კილაძის ფოტო.

...ამაღლდი, გაიხარეო!

მრავალჟამიერ!

ხარ შემართული სამოცი წელი,
სრბოლის, შენების ველად გასული.
ხარ ნერგი ნორჩი —
ხე ძველთაძველი,
სიმღერა ძველი ყმაწვილკაცური.
სამოცი წელი მოგდევ ფეხდაფეხ,
შენი კაცი და შენი აჩრდილი;
გიჭირს — გამშვიდებ,
ჩაგთვლემს — შეგძახებ!
ხან გულგავსილი, ხან გულდაჭრილი.
შენი ვარ, შენთვის ღამისმთეველი,
ჭირს ნარკინები,
ცეცხლს ნაჭიდები;
ვარ ბედნიერი და უძლეველი
როცა მეძახი, როცა გჭირდები.
როცა ქედს ადგას შენი უღელი
ჩემს წლებს აწინდელს,
ჩემს წლებს წინანდელს —
ვარ გამართული და მოუხრელი
და დაუღლელი თავგანწირვამდე.
უსაყვარლესო და ღვიძლზე ღვიძლო —
ძმობის,
გმირობის,
ბრძნულ-კაცურობის
კვლავ რეკდეს ვინძლო,
კვლავ ქუხდეს ვინძლო
სიმღერა შენი უსასრულობის.
ვაშა, შენს სრბოლას, ვაშა, შენებას,
საქმეს ღონიერს,
სიტყვას ჯანიერს...
შენს ამაღლებას, შენს დამშვენებას
შენს გაჩენის დღეს
მრავალჟამიერ!

1981
12-V.



ჩვენი ზეიმი—ეს არის მთელი დიადი და მძლავრი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, საბჭოთა ხალხების ერთსულოვანი და შეკრული ოჯახის ზეიმი.

ე. ა. შევარდნაძე.

მეგობრობა გზად და ხიდად

გული მისცეს გულისათვის

აზერბაიჯანის საპატიო წოდებანი — საქართველოს წარმომადგენლებს

საქართველო-აზერბაიჯანის ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობის განვითარებაში გაწეული ღვაწლისათვის აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭათ საპატიო წოდებები:

აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა

უჩა მალაქიას ძე ჯაფარიძეს — სსრ კავშირის სახალხო მხატვარს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კათედრის გამგეს, პროფესორს;

აზერბაიჯანის სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა

ალექსანდრე აკაკის ძე **გვახარიას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის ომმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, პროფესორს;

ლეილა უშანგის ასულ **ერაძეს** — შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, პოეტსა და მთარგმნელს;

მაგალი არესტის ძე **თოდუას** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის ომმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, ლიტერატურათმცოდნესა და მთარგმნელს.

„ხოტბას შეგასხამს ყირგიზი“

თბილისს ხალხთა მეგობრობის მუზეუმში „ვეფხისტყაოსნის“ ოსმოსში ნამყოფი ეგზიმპლარის ეკრდინ დევს ამ შესანშნავი ბულების გამოცემა ყირგიზულ ენაზე.

უნეველია ორმოცზე მეტი ლის წინათ გამოსული ამ წიგნის ბავი. უძველესეს რელიკვიად ტარა იგი დიდი სამამულო ომის ალეცხლიან გზებზე ყირგიზმა ბრისაკაცმა ბაქირ ბობულოვმა, ბამამ პენსიონერმა, რომელიც ომის ოლქის ნაუკატის რაიონის ოლმეურნეობა „რუსეთის“ წეროა. „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მებრძოლს ომის განმავლობაში არ მოუშორებია, ძალას მაძლებდა მას მტერთან საბრძოლველად, ახარებდა დასვენების ჟამს, ასთან ერთად იზიარებდა ფრონტის ჭირსა და ლხინს.

თბილისის მუზეუმს ეს წიგნი ოდასაცა ვეტერანის ომცროსმა ცნობილმა ყირგიზმა მწერალმა, ლიტერატურათმცოდნემ და ლიტიკოსმა ყამბარალი ბობულოვმა.

ქართული ლიტერატურის მარლიტემა — რუსთაველის პოემამ ირგზგზეთში მეორე სამშობლო ოვა ბრწყინვალე, შთაგონებული ბამგნის წყალობით, რომელიც ეასრულა ყირგიზული საბჭოთა ეზიის კლასიკოსმა ალიაყულ ოსმონოვმა. სამ წელიწადს—1937-დან 1939 წლამდე თარგმნიდა ახალგაზრდა პოეტი „ვეფხისტყაოსანს“, რომელშიც ჩააქსოვა მთელი თანისი აღფრთოვანება და სიყვარული რუსთაველის გენიალური ნაარმოებისადმი. პოემამ, რომელიც ყირგიზულად პირველად 1940 ელს გამოქვეყნდა, მაშინვე გაიალა გზა მკითხველთა გულისაკენ, ახლებურად და მშობლიურად იქცა ალათაულ მცხოვრებთათვის. მთის სოფლებში მშობლები შვილებს არქმევდნენ პოემის გმირთა სახელებს — ტარიელს, ავთანდილს, თინათინს, დარეჯანს, მამაცი და კეთილშობილი ქართველი რაინდი დაუქმობილდა ლეგენდარულ ყირგიზ გოლიათს მანასს, მისი ძმადნაფიცი გახდა.

ომას, რომ ა. ოსმონოვმა სრულყოფილად თარგმნა პოემა და ჩასწვდა ამ დიდი ნაწარმოების პოეტურ არსს, მოწმობს ის ფაქტი, რომ პოემა ყირგიზულად უკვე ხუთჯერ გამოიცა, მისი საერთო ტირაჟის მოცულობა კი ყირგიზეთში ჩამოუვარდება მხოლოდ ქართულ, რუსულ და უკრაინულ გამოცემებს. ოსმონოვის თარგმანი ჯერჯერობით უბადლო ნიმუშად რჩება.

ყირგიზეთში დღესაც უზომოდ უყვართ „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი. „ხოტბას შეგასხამს ყირგიზი“ — წინასწარმეტყველურად უთქვამს რუსთაველზე ალიაყულ ოსმონოვს ცნობილ ლექსში „უკვდავი ბულბული“. დიდ პოეტს შთაგონებული ლექსები უძღვნეს სხვადასხვა თაობის ყირგიზმა პოეტებმა — კ. აკაევმა, ე. უზაკბაევმა, ბ. სარნოგოევმა, ტ. ალიბაევმა და მრავალმა სხვამ. ყირგიზ მკითხველს, რომელიც ქართულ ლიტერატურას „ვეფხისტყაოსნით“ გაეცნო, დღეს შეეძლია მშობლიურ ენაზე წაიკითხოს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის, ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ აბაშიძის, აკაკი წერეთლისა და გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანისა და ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები.

ა. ბარშაი,
„ყირგიზეთის“ კორესპონდენტი.

ტრადიციას არ ვუღალატეგთ!

რაოდენ საპატიო და საამაყოა ის ფაქტი, რომ დღევანდელ ჭეშმარიტად სახალხო-საზეიმო იერით დამშვენებულ-გასხივოსნებულ იუბილეში მონაწილეობა და მოკრძალებული სიტყვის თქმა სწორედ ჩვენი თაობის სპორტსმენებს გვერგო წილად...

ქართული სპორტი ექვსი ათეული წელზე გაცილებით ადრე იღებს სათავეს, მაგრამ ნამდვილი გაქანება და საყოველთაო აღიარება იმან, რასაც დღეს მასობრივ სპორტს ვუწოდებთ, მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პოვა. საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის შექმნის კვალდაკვალ ჩამოყალიბდა მრავალი სპორტული საზოგადოება, აშენდა სტადიონები, საკმარისად აღმოჩნდნენ სპორტის ენთუზიასტებიც და ქართული სპორტიც ომთავითვე ჩადგა ჩვენი დიადი სამშობლოს, მსოფლიოში ყველაზე მასობრივი და მოწინავე სპორტის კეთილშობილური სამსახურში.

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და ქართული სპორტი, რომელმაც იმთავითვე მიიქცია საყოველთაო ყურადღება, თანდათან ვაკაცდებოდა. მის ღირსებას მრავალი თაობა იცავდა ნებისმიერი რანგის ასპარეზობებში და საერთაშორისო ეტალონით დამშვენებული დღემდე მოგვიტანა სახელოვნად.

— ალექსანდრა ჯაფარიძე და დიმიტრი იოსელიანი, ნინო დუმბაძე და გიორგი რცხილაძე, ელენე გოკიელი და ალექსანდრე ჯორჯაძე, ნადეჟდა დვალიშვილი და რობერტ შავლაყაძე, მედეა ჯუღელი და ბორის პაიჭაძე, ნონა გაფრინდაშვილი და ვიქტორ სანეევი, ალექსანდრე მეტრეველი, ნანა ალექსანდრია, ლევან თედიაშვილი... და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ — აი სპორტსმენები, რომელთა მაგალითზეც ვიზრდებოდით, ვიზრდებით და კერპებად გავიხადეთ...

ძნელი მისია დაგვეკისრა ჩვენი თაობის სპორტსმენებს: 70-იანი წლების დიდი წარმატებები და გამარჯვებები, რომლებიც ქართული სპორტის 60-წლიანი განვითარების ლოგიკური და კანონზომიერი გაგრძელებაა, უფრო მეტს გვავალებს — მეძაგრეობა, ერთგულება, ფიროსი თაობებისგან მიღებული, სახელოვნად და ფუძეშეურყეველად უნდა გადაეცეთ მომავალს.

დღევანდელ საიუბილეო დღეს პირობას ვდებთ — ჩვენთვის დაკისრებულ საპატიო მისიას წარმატებით განვახორციელებთ, ტრადიციას არ ვუღალატებთ და ქართული სპორტის ღირსების დროშას კვლავაც დაუზრეველად ვატარებთ.

გილოცავთ ძვირფას, ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს!

მაია ჩიგურდანიძე, ქეთევან ლოსაბერიძე, ირინე გაბაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ გლაგიძე.

საიუბილეო ნომრის სტუმარია აკაკი შანიძე

წინ ისევ წარმტაცი ბევრი საქმეა...

ქართული საენათმეცნიერო სკოლის ფუძემდებელი...

ქართული ენათმეცნიერების ბელადი...

საქართველოში კაცი არ იქნება, ამ სიტყვების გაგონებისთანავე ვერ მიხვდეს, ვისზეა ლაპარაკი.

ეპითეტები, შედარებები, რაღა თქმა უნდა, თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ისინი მაინც როგორღაც უმწეოდ ჩანს, რაგინდ მარჯვედ და დროულად მოხმობილი გეგონოს. ახლაც ასეა. აჯობებს სულ უბრალოდ ვთქვათ: აკაკი შანიძე. და ყველასათვის ყველაფერი გასაგები იქნება. ეს ორი სიტყვა იტევს დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის, სპეტაკი მოქალაქისადმი გაცხადებული სახალხო სიყვარულის, პატივისცემისა და მოკრძალების უსაზღვრო გრძნობას.

ეგეც არ იყოს, როგორ გინდა, ხელში ბლოკნოტმომარჯვებულმა მიმართო მას რაღაც ამგვარად: თქვენ, ქართული მეცნიერების პატრიარქო... იცოცხლეთ, მართალს ამბობდეთ, მაგრამ ეს ზეაწეული ტონი სრულიად არ ესადაგება უბრალო, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ განწყობილ ე ბ ა ს, რომელიც დიდი მეცნიერის ბინაში გზდებათ. ხის მასიური ფართო მაგიდაზე სქელი ტომები და ქაღალდები დახვავებულა. ეტყობა, არც თაროებზე შემოწყობილ წიგნებს „აქვთ მოსვენება“. რაღაც ფუსფუსი, მოძრაობა იგრძნობა ყველაფერში და, რაც მთავარია —მისი თვალები, ეს ჭაბუკური ცეცხლით მოციაგე ცისფერი თვალები მეათე ათწლეულში გადამდგარი მასპინძლისა! მის გამოხედვაში მოლოდინიც არის და კეთილგანწყობაც, სტუმრად წვეულის გამხნევებაც და... ირონიაც, უცნაურად უბოროტო, უხიბო ირონია. ეს ყველაფერი ამბობს: მოდით, ვილაპარაკოთ უ ბ რ ალოდ, ადამიანურად, რა დროს ეპითეტებია. შეხედეთ, რამდენი საზრუნავი მაქვს, ერთი სიტყვითო: საქმეზე ვილაპარაკოთ. საუბარი და გასახსენებელი კი, მას რომ აქვს, მეორეს ვის ექნება! ქართული საბჭოთა მეცნიერების პირველ ნაბიჯებს ვიგონებთ და, ცხადია, იგი იწყება ქართული უნივერსიტეტით ისევე, როგორც დღე იწყება დილით.

— თბილისის უნივერსიტეტის დაარსება ბევრს, ძალიან ბევრს ნიშნავდა და, პირველყოვლისა, იმას, რომ ამიერიდან ქართულ ენაზე უნდა ამეტყველებულიყო მეცნიერების სხვადასხვა დარგი, რომლებსაც ჩვენში, ისტორიული ავბედობის გამო, სიცოცხლის ნიშან-წყალიც აღარ ეტყობოდა. ამიტომ იყო, რომ მისმა დაარსებამ იმთავითვე უსაზღვრო სიხარული, უსაზღვრო რწმენა მოჰგვარა ჩვენს ხალხს და მოლოდინიც სავსებით გამართლდა —თბილისის უნივერსიტეტმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული მეცნიერების აღორძინებასა და წინსვლაში.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს საშვილიშვილო მარად წარუვალი მნიშვნელობის საქმე წარმატებით ვერ დაგვირგვინდებოდა, რომ არა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ მაშინვე იტვირთა უმაღლესი სასწავლებლის მოვლა-პატრონობა და მერეც, რა განსაცდელიც უნდა ჰქონოდა ქვეყანას, მეცნიერებისა და უმაღლესი განთლების საქმეს არასოდეს . მოჰკლებ ი ა მზრუნველობა და ყურადღება. ამის შედეგი გახლავთ ის, რომ სულ მალე უნივერსიტეტს რამდენიმე დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი გამოეყო და შემდგომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაც დაარსდა.

ქართული უმაღლესი სკოლა, ჩვენი მეცნიერება ისე სწრაფად განვითარდა, ისეთ სიმაღლეებს მიაღწია სადღეისოდ, რომ რაგინდ დიდი მეოცნებენი ვყოფილიყავით, ამდენს მაინც ვერ წარმოვიდგენდით ისინი, ვისაც ბედმა თბილისის უნივერსიტეტის დაარსება გვარგუნა ძვირფასი ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით.

ახლა სამართლიანად ვამაყობთ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული მათემატიკური სკოლით, ფიზიოლოგთა, ენათმეცნიერთა მიღწევებით და, რასაკვირველია, გვიხარია, რომ მეცნიერული პოტენციალით ჩვენი რესპუბლიკა განვითარებულ ქვეყნებს არამც თუ ტოლს არ უდებს, ბევრ დარგში კიდეც მოწინავეობს.

მეცნიერების სხვა სფეროებზე რომ არაფერი ვთქვათ, სულ მოკლედ შევეხოთ მხოლოდ ისტორიასა და ფილოლოგიას და თქვენ კიდევ ერთხელ იგრძნობთ, რამდენი გაკეთდა, რამდენს მივაღწიეთ და ეს, პრაქტიკულად, საბჭოთა ხელისუფლების 60 წლის მანძილზე, რომელიც ისტორიისათვის, დიახაც, მცირე დროა.

ქართველმა ენათმეცნიერებმა ამ ხნის განმავლობაში ღრმად შეისწავლეს არა მარტო ქართული, არამედ მონათესავე ენათა უმთავრესი გრამატიკული თავისებურებანი;

გამომზეურებულია და შესწავლილი ქართული ენის სიმდიდრე; გაკეთდა უდიდესი მნიშვნელობის საქმე — გამოცემულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული;

მკვიდრ ნიადაგზე დგას ჩვენი ხელოვნების ისტორია;

ახლა ჩვენს ხელთ არის უცხოეთში გაბნეული უძვირფასესი ქართული ხელნაწერები ან მათი პირები.

განა ეროვნულ კულტურაზე პარტიული მზრუნველობის ნიმუშში არ გახლავთ ის ფაქტი, რომ ამჟამად მთლიანად არის გამოცემული სინის მთაზე შემონახული ჩვენამდე მოღწეული უძველეს თარიღიანი ქართული ხელნაწერი, ეგრეთ წოდებული სინური მრავალთავი 864 წლისა! ამ უძვირფასესი განძის მოპოვებას მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების მიჯნაზეც ბევრს ეცადნენ ქართველი მეცნიერები და მოღვაწენი, მაგრამ მათს კეთილშობილურ განზრახვას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეწერა განხორციელება!

ასევე კარგ მეცნიერულ დონეზე გამოიცა უძველესი ქართული ხალიტერატურო ენის ძეგლები. არნახული სიმშაოა გაწეული უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დასადგენად და გამოსაცემად.

მრავალმხრივი, ინტენსიურ ი საქმიანობა ყველა ამ მიმართულებით გრძელდება.

სულ ახლახან უნივერსიტეტს ათონის მთაზე დაცული ქართული ხელნაწერების უნიკალური მიკროფილმები გადასცეს გ. პატარაიამ და ა. მიქაბერიძემ. სინის მთაზე კვლავ აღმოჩნდა ქართული ხელნაწერები, და იმედი გვაქვს, მათ პირსაც უთუოდ მივიღებთ.

— როგორც თქვენ ბრძანებთ, გაკეთებული, მართლაც, ბევრია და შთამბეჭდავი. მარტო თქვენ და თქვენს მოწფიფეებს აუოაცხელი ამაგი გაქვთ ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხების კვლევაში, ტექსტების გამოცემაში, ქართულ დიალექტოლოგიაში, ლექსიკოლოგია შ ი, ეტიმოლოგიაში, ეპიგრაფიკაში, ფოლკლორში. საინტერესოა, რა მიგაჩნიათ ახლა ყველაზე სადღეისო და აქტუალურ საქმედ?

— წარმოუდგენელია, მეცნიერებას საზრუნავი დაელიოს. რაც უფრო ღრმად იჭრება იგი კვლევის ამა თუ იმ სფეროში, მით უფრო მეტი წარმტაცი და საინტერესო პრობლემა იჩენს თავს. თუმცა ხანდაზმული გახლავართ, არ ვაპირებ იარაღის დაყრას. ჩვენს დროში, ჩვენს დღეებში მეცნიერული კვლევის, მუშაობის არნახულად ხელსაყრელი პირობები გვაქვს. ეს კი ჩვენი პარტიის უდიდესი მზრუნველობის შედეგია. განა ამის ნათელი დადასტურება არ არის დაუვიწყარი სიტყვები, რომლებიც კომუნისტური პარტიის ნაცადმა ხელმძღვანელმა ლეონიდ ბრეჟნევმა წარმოთქვა საბჭოთა მეცნიერების შესახებ პარტიის XXVI ყრილობის ტრიბუნიდან! ჩემზე ასევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობაზე ედუარდ შევარდნაძის მოხსენების იმ ნაწილმა, სადაც იგი ლაპარაკობს მეცნიერებისადმი, სამეცნიერო კადრებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობასა და მზრუნველობაზე.

სრულიად, სავსებით ვიზიარებ მის დებულებას იმის თაობაზე, რომ სამოცდაათიანი წლები და, კერძოდ, მეათე ხუთწლედი, მეცნიერებისადმი პარტიული ყურადღებისა და ზრუნვის გაუმჯობესებით გამოირჩეოდა, ამიტომაც იყო იგი აღსანიშნავი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ახალი მიღწევებით.

შეუძლებელია ასეთმა ყურადღებამ და შრომის დაფასებამ ძალა და სიმხნეევე არ შემატოს მეცნიერებს, კერძოდ, ახალგაზრდა თაობას.

რაც შეეხება უშუალოდ თქვენს შეკითხვას, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენთვის, ენათმეცნიერებისათვის, ყველაზე საშურ და სადღეისო საქმედ ტექსტოლოგია მესახება. უნდა დაჩქარდეს ტექსტების შესწავლა და გამოცემა. ამ დიდ საქმეში, მეცნიერებთან ერთად, უფრო მრავლად და აქტიურად უნდა ჩავაბათ ჩვენი სტუდენტობა. ეს ყოველმხრივ სასარგებლოა: ჯერ ერთი, საქმეს წინ წასწევს და, მეორეც, ახალგაზრდები ამთავითვე ეზიარებიან მეცნიერული კვლევის, სახალხო საქმისთან წილნაყარობის შესანიშნავ გრძნობას. აი მათი ნიჭისა და ეროვნული საქმისათვის გარჯის ერთი მშვენიერი ასპარეზი...

— სტუდენტობაზე ჩამოვარდა სიტყვა, და შეუძლებელია არ გაგახსენდეს თქვენი პეტერბურგის უნივერსიტეტის წლები. ისე შინაარსიანია ისინი, ისე ბუნებრივად, ორგანულად ერწყმის უმაღლესში თქვენი განსწავლისა და მეცნიერული კვლევის ასპარეზზე გადადგმული ნაბიჯები ერთმანეთს, რომ საზღვარ-სამანის პოვნაც კი ჭირს: სად მთავრდება თქვენს ბიოგრაფიაში სტუდენტობა და სად იწყება მეცნიერული მოღვაწეობა...

— ენის საკითხების კვლევამ ჯერ კიდევ მოწაფეობაში, გიმნაზიაში გამიტაცა. ეს როგორღაც სრულიად ბუნებრივად და ძალდაუტანებლად მოხდა. მახსოვს, მაშინ რუსული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი ჩამივა რ დ ა ხელთ და იმის მიხედვით ქართული ლექსიკონი გავაკეთე, მერე კი მასზე ლათინურად დიდი ამბით წავაწერე სიტყვები, რომლებიც ნიშნავს: მე რაც შემეძლო გავაკეთე და მეტი, ვისაც შეუძლია, იმან გააკეთოს.

ახლა მთელ ჩემს ნაღვაწზეც აღარ ვფიქრობ ასე. უფრო მოწადინებული კაცი, ჩემს ადგილზე მეტს გააკეთებდა.

— ამ მოულოდნელ საყვედურს, ბატონო აკაკი, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ეგეც არ იყოს, თქვენ აკი არ მოგმთავრებიათ შრომა, ახლაც, ამ წუთსაც, ხომ ისევ სამუშაო მაგიდისკენ იჩქარით...

— ეგ კი მართალია.. ჩემი ძველი ქართული ენის გრამატიკა გამოდის ჯერმანულ ენაზე და ახლა ანაწყობის კორექტურაზე ვმუშაობ. მერე ამას ძველი ქართულის ქრესტომათია მოჰყვება ისევ გერმანულ ენაზე; მასში ხანმეტი ძეგლები შევა, სინური მრავალთავის ნაწყვეტი, ჩვენი ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშები...

წარმატებებს გისურვებთ, ჯანმრთელობასა და სიმხნეევეს.

— გმადლობთ! გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს, მათი სახით კი მთელ ჩემს საყვარელ ხალხს სულითა და გულით ვუსურვებ დიდ დღესასწაულს — საბჭოთა საქართველოს მესამოცე წლისთავის იუბილეს!

თ. მეტრეველი.

60 გმირული წელი

ისევე როგორც მთელმა ქვეყანამ, საბჭოთა საქართველომ ექვსი ათეული წლის მანძილზე საუკუნეთა სადარი გზა გამოიარა; ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა საქართველოში ექვსი ათეული წლის მანძილზე შეიქმნა ახალი საზოგადოება, რომლის სადარი არ ახსოვს კაცობრიობას; ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, საქართველოშიც ექვსი ათწლეულის მანძილზე მტკიცედ დამკვიდრდა სოციალისტური ცხოვრების წესი, რომელიც აერთმთლიანებს დიადი საზოგადოების მშენებელთა ზნეობრივ სიჯანსაღეს, სულიერ ძალასა და სიმტკიცეს.



თავის უხვ გულმკერდს უხსნის დედამიწა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელ კაცს, რომელიც მომავლის ღრმა რწმენით აღსავსე, პარტიის გრანდიოზული გეგმებით შეიარაღებული ჩვეული ენთუზიაზმითა და გულმოდგინეებით ამრავლებს ნვავსა და ბარაქას, ეწაფება ცოდნას, იპყრობს კულტურისა და მეცნიერების მაღალ მწვერვალებს, ამდიდრებს სულიერ საუნჯეს...

საბჭოთა საქართველოს დიდი ცხოვრების მცირე მონაკვეთის შემოქმედებითი აღმაფრენის ერთი გაელვების ასახვა ძალუძს ფოტოობიექტივს, მაგრამ ამათი ერთობლიობა უკვე შთამბეჭდავ ისტორიად გვევლინება. ეს ფოტოსურათებიც საბჭოთა საქართველოს ისტორიაა — თავისი გმირი ადამიანებით, მათი ნაღვაწით, ნიჭის აღმაფრენით, განუმეორებელი სილამაზით: ბრიგადამ, რომელსაც რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში უშანგი ივანიაშვილი ხელმძღვანელობს ახალი ხუთწლედის ანგარიშში უკვე გამოუშვა 200 ტონა ზეგეგმითი ფოლადი. ახლა სკკპ XXVI ყრილობის დელეგატის ბრიგადის ყოველი ნადნობი ჩქაროსნულია;



ეს ახალგაზრდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან, მეცნიერების ტაძარში ცოდნას ეწაფებიან, რომ ცხოვრების დიდ გზაზე მტკიცედ იარონ. მათმა თაობამ კიდევ უფრო უნდა აამაღლოს საქართველო მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე;

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის ჩაის ფოთლის მოსავლის კრეფა დაიწყეს საქართველოს მეჩაიეებმა. მწვანე პლანტაციებში ერთ-ერთი პირველი გავიდნენ აუჩარის ასსრ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გენიოს კოლმეურნეები. ბევრი მათგანი თავისი შრომითი ბიოგრაფიის პირველ ნაბიჯებს საბჭოთა საქართველოს 60 წლის თავზე იწყებს. მათ შორის არის ნატო კახიძეც, რომელიც პირობას დებს, რომ ჩაის უხვი მოსავლის მოყვანის ოსტატი გახდება. გზა დაელოცოთ მას და მის თანატოლებს, სამშობლოს საკეთილდღეო ყველა ოცნება ასრულებოდეთ!



დიდმა ოქტომბერმა ჩვენს ხალხში გამოაღვიძა ჭეშმარიტად ამოუწურავი შემოქმედებითი ძალები, მძლავრი სტიმული მისცა მეცნიერული აზრის განვითარებას, მეცნიერების საერთო აღმავლობას. საბჭოთა საქართველო მოწინავე მეცნიერული აზრისა და უმაღლესი განათლების ცენტრად გადაიქცა. რესპუბლიკის თვალსაჩინო მეცნიერთა მეცადინეობით შეიქმნა და განვითარდა მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი სამეცნიერო სკოლები.

ერთ-ერთი ასეთი დიდი მეცნიერული დაწესებულებაა აბასთუმნის ობსერვატორია, რომელსაც სათავეში უდგას ჩვენი სასიქადულო მეცნიერი ევგენი ხარაძე. სურათზე დიდ მეცნიერს თქვენ ხედავთ ლაბორატორიის ხელმძღვანელთან ა. კაროლთან ერთად მუშაობის დროს.

მეცნიერული, ინკინრული აზრის და მშრომელი კაცის თავდადებული შრომის დიდი ძეგლია ენგურჰესის უნიკალური კაშხალი. ენგურის აგრეგატები მეათე ხუთწლედში ჩადგა მწყობრში!

ყველაფერი, რაც ჩვენს ქვეყანაში კეთდება, მშრომელი ადამიანის კეთილდღეობას ხმარდება. ეს ცადაზიდული კორპუსებიც, რომლებიც შავი ზღვის კურორტ ბიჭვინთის ზღაპრულ სანაპიროზე ადიმართა, ადამიანთა დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურშია.

● ●

ი. დავითაშვილის, მ. დათიკაშვილის, ნ. ანასტასიევის, ა. რუნაძის, ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს მზით და სინათლით სავსე, ბევრდოვანი ვარდებით და ალისფერი ტიტებით მორთული დარბაზი არაფრით ჰგავდა იმ მოზეიმულ, ნაკრისფერ, ნესტიან ნაგვარსარდაფებს, სადაც საქართველოს ახალგაზრდა იატაკქვეშელები ეფროს თანამებრძოლთა და თანამოაზრეთაგან პარტიულ ბილეთებთან ერთად იმ რწმენასაც იღებენენ, მერე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, შეურყეველად რომ ატარეს, ერთხელ არჩეული გზის ერთგულ, უკეთესი მერმისისთვის ებრძოლნ შეგნებისა და მისთვის თავგანწირვის რწმენას.

ამის შემდეგ ექვს ათეულ წელზე ეტმა განვლო. ისინი, ვინც მაშინ ერთგულებული ხელებით ფიცებში, ვით წმიდათაწმიდა რელიკვიას, სათუთად ინახავდა პარტიულ ბილეთს, დღეს რევოლუციის, პარტიის ვეტერანები არიან. დღეს ისინი ამ მზიან დარბაზში მოვიდნენ, რათა ჩვენი პარტიის მორიგ შვესებას, მომავალ კომუნისტთა ერთ ჯგუფს საზეიმოდ გადასცენ პარტიული ბილეთები, გადასცეს ის რწმენა, თავად ასე რომ ეურთგულეს, ლენინის საქმის უტყუარობის რწმენა.

მოთხოვნები სკკპ რიგებში შემსვლელთა მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული იყო. მაგრამ დღეს, როდესაც, როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, სულ უფრო და უფრო იზრდება მისი როლი საზოგადოების ცხოვრებაში, მისი ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე, განსაკუთრებით სჭირდება საქმისთვის თავდადებული, ენთუზიასტი ადამიანები. სიტყვები, — „იყავით ნამდვილი კომუნისტები“, რომლებთაც პარტიის ვეტერანმა სარა გოლდბაუმმა პარტბილეთის გადაცემისას მოწინავე მუშას შალვა კიკნავლიძეს და დარბაზში მსხდომთ მიმართა, კიდევ ერთხელ შეახსენებდა მათ იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საამაყოა ესტაფეტა, რომელსაც თითქოსდა სიმბოლურად პარტიულ ბილეთებთან ერთად იღებენ უფროსი თაობისაგან.

მაგრამ მათ შორის ერთი თაობა კიდევ იყო — ისინი, ვინც ერთხელ ბოძებული სიცოცხლე უყოყმანოდ მიიტანა ფაშისტთა კლანჭებისაგან რევოლუციის მონაპოვართა დაცვის სამსხვერპლოზე, მათაც ღირსეულად ატარეს ესტაფეტა. მათი მაგალითიც აქვს ამ ... ...

საზეიმოდ მოიკრთო და მოიკაზმა

დღესასწაულიც გვეწვია. რა დიდხანს და საგულდაგულოდ ვემზადებოდით ამ სახალხო ზეიმისათვის. განა დარჩა ჩვენი ვეებერთელა დედაქალაქის კუთხე-კუნჭული, სადაც ადამიანის გამრჯე ხელს თავისი სასიცეთო კვალი არ დაეჩნიოს.

ზეიმის წინ მთელი ქალაქი დიდ სამშენებლო მოედანს ჰგავდა, თბილისელები გვიან ღამემდე არ წყვეტდნენ მუშაობას, რომ სტუმრებს ხელდამშვენებული დახვედროდნენ. და აი შედეგიც.

მარტო რუსთაველის პროსპექტის ნახვა რადა ღირს, როგორ განახლდა და გალამაზდა იგი. ელექტროგაყვანილობის მიწაში გადანაცვლებამ, თითქოს უფრო გაფართოვა მანქანების სავალი ნაწილი თუ ტროტუარი, ახალმა ორიგინალური კონსტრუქციის ლამპიონებმა, შენობათა ფასადების გადახალისებამ, ყვავილნარებმა დაამშვენეს პროსპექტი.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ ძველი თბილისის სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლებიც ანჩისხატის უბანში შავთელის ქუჩაზე და ბარათაშვილის ხიდთან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მიმდინარეობს. ამ მოკლე დროში აქ ნამდვილად დიდი საქმე გაკეთდა.

უკვე დიდი ხანია საყოველთაო აღიარება პოვა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ზურაბ წერეთლის მონუმენტურმა ხელოვნებამ. საიუბილეოდ ჩვენს ქალაქს მისი რამდენიმე ნამუშევარი დაამშვენებს.

თბილისს აეროპორტის მახლობლად, კახეთისა და ცენტრალური მაგისტრალის გასაყართან აღიმართა 60-მეტრიანი მონუმენტური ლითონის კომპოზიცია „საუკუნის მატიანე", რომელიც შექმნილია ინჟინერ-კონსტრუქტორ ნ. ედიშერაშვილთან ერთად. ამ მოცულობითს კონსტრუქციას სამკუთხედის ფორმა აქვს და იგი ყოველი მხრიდან ერთნაირად აღიქმება. ლითონში გამოძერწილი ადამიანთა ფიგურები კომპოზიციურად აღბეჭდავენ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს: რევოლუციას, სამოქალაქო თუ სამამულო ომში გამარჯვებას, აღმშენებლობას, ინდუსტრიასა და მეცნიერების განვითარებას, კოსმოსის დაპყრობას.

დიღომში, სამხედრო გზისა და მეგობრობის პროსპექტის გადაკვეთასთან, ფერდობზე უკვე მთავდება მშენებლობა ზურაბ წერეთლის მეორე მონუმენტური ლითონის კომპოზიციისა „ქართველი ერი — ბოლოს ხალხებს". ეს არის 45-მეტრიანი, სამი ნაწილისაგან შემდგარი რთული კონსტრუქციული სისტემა, რომელიც გრიგალის ძალასაც გაუძლებს, ავტორს მთელი კომპოზიცია ჩაფიქრებული აქვს გიგანტი ადამიანის სახით. ორივე მონუმენტურ ლითონის კომპოზიციას აშენებს „კავკასელექტროქსელმშენის" ტრესტის კოლექტივი.

ამ დღეებში თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ახალ ფასადი დამშვენა ზურაბ წერეთლის მოზაიკურმა პანომ, რომელიც ფერის, პლასტიკისა და ფორმის საოცარ შეწყობას წარმოადგენს. ასევე ზურაბ წერეთლის ხელმძღვანელობით — ოთხ ერთად ერთა ჯგუფმა დაასრულა კომუნარების ბაღში ორიგინალური მოზაიკური შადრევნის მოწყობა.

კიდევ ბევრი საიუბილეო საჩუქარი მიიღეს თბილისელებმა. სახე იცვალა, დამშვენდა კულტურისა და დასვენების პარკები.

ლ. ხუგულური.

მთელი არსებით თქვენთან ვართ!

ზოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთელი კოლექტივი მზურვალედ ულოცავს მთელ ქართველ ხალხს, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს სახელოვან იუბილეს, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს.

ეს ისტორიული თარიღი აგვირგვინებს და ამშვენებს ბრძოლებითა და გამარჯვებებით სავსე იმ სახელოვან გზას, რომელიც ამ 60 წლის წინათ დაიწყო. ამ ხნის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკა აღორძინდა და გაძლიერდა. ეს კი მთელი ხალხის და მისი საუკეთესო შვილების თავდადებული შრომის შედეგია. წარმატებანი კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს ჩვენში, აღაფრთოვანებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი საშობლოს სახელი და დიდება.

მართალია დღეს რუსთაველელები უშუალოდ ვერ ვმონაწილეობთ ამ საყოველთაო ზეიმში, მაგრამ იმის შეგნება, რომ ჩვენ აქ, იტალიაში, ქართული ეროვნული კულტურის საქმეს ვემსახურებით, რომ ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს ვაცნობთ უცხოელ მაყურებლებს, გვაფიქრებინებს, რომ მთელი არსებითა და სულისკვეთებით ჩვენც ამ საერთო-საზეიმო ფერხულის მონაწილენი ვართ.

ზოთა რუსთაველის სახელოგის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი.

20 მაისი, ქ. მილანი.

„ჩვენი სახელოვანი სტუმრები"

რუსთაველის თეატრის

საგასტროლო

დღიურიდან

მილანი უკვე მეექვსე საგასტროლო და ამავე დროს ბოლო ქალაქია, სადაც ქართული თეატრალური ხელოვნების დესპანები, რუსთაველელები ამთავრებენ გასტროლებს იტალიაში და მეეიცარიისაკენ აიღებენ გეზს. როცა პირველი სპექტაკლის დღეს სასტუმრო „დეი კავალერის" ფოიეში რეპეტიციის წინ თავი მოიყარეს რუსთაველელებმა, სწორედ მაშინ შედგა ჩვენი სატელეფონო დიალოგიც. ტელეფონის ხაზზეა ნოდარ გურაბანიძე.

— გუშინ დავემშვიდობეთ იტალიის დედაქალაქს, — გვითხრა მან, — სადაც ერთ-ერთ უდიდეს თეატრ „არჯენტინოში" სამსამჯერ წარმოვადგინეთ „კავკასიური ცარცის წრე" და „რიჩარდ მესამე". დღეიდან სპექტაკლებს გავმართავთ მილანის „კომედია დელა არტეს" დარბაზში. რომაელებმა ჩინებულად გვიმასპინძლეს, დიდი ოვაციებითა და ვრცელი საგაზეთო რეცენზიებით გამოეხმაურნენ ჩვენს სპექტაკლებს.

„ბრეჰტი მთლიანად ქართული იერით" — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა რეცენზია გაზეთმა „ტემპომ", „გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, — წერს რეცენზიის ავტორი,—რომ რუსთაველის თეატრის შესახებ დაწერილი სტატიები ფლორენციაში თეატრის წარმატების შემდეგ ცოტა ეშვა იწვევდა ჩვენში, მაგრამ თვალითაც ნანახმა ბევრად უფრო ძლიერი, მოულოდნელად განსაცვიფრებელი შთაბეჭდილება დატოვა.

იმავე გაზეთის 17 მაისის ნომერში „მოთავსებულია სტატია „რიჩარდი თბილისიდან", რომელშიც ნათქვამია: „სპექტაკლი განსაცვიფრებელია, განსაკუთრებით მისი ფინალი — დუელის სცენა. ეფექტიანად არის ჩართული მასხარის ახალი სახე, რომელიც სპექტაკლს ხალხურ, სოფიტურ და ირონიულ იერს ანიჭებს.

მთლიანად კოლექტივი უბრწყინვალესია. რ. ჩხიკვაძე ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობია, რომელმაც ნამდვილი ფეერორი მოახდინა. გრუშეს საუკეთესო სახეები შექმნეს ი. გიგაშვილმა და თ. დოლიძემ, საუკეთესო ოსტატობით ბრწყინავდნენ გ. საღარაძე, ჯ. ღაღანიძე, ე. ლოლაშვილი, ლ. ძიგრაშვილი და თითქმის ყველა, ვინც სცენაზე ვიხილეთ".

გაზეთი „კორიერე დელა სერას" 15 მაისის ნომერი ეხმაურება სპექტაკლ „რიჩარდ მესამეს". „სტურუას მიერ დადგმულ სპექტაკლში — აღნიშნულია რეცენზიაში, — მოჩანს რეჟისორის დაუშრეტელი ფანტაზია, ორიგინალური თეატრალის სახე. რეჟისორის მუშაობის მანერა პლასტიკურია, მას საფუძვლად უდევს ინვერტორობა, ახალი ფორმის ძიება. სპექტაკლს ახალი ელფერი და ტონი შესძინა სიკვდილის მაუწყებელი სატანის მსგავსი არსების შემოყვანამ მარგარიტას სახით, ასევე ბრწყინვალეა და სპექტაკლის მთლიან ქსოვილს ორიგინალურად ერწყმის მასხარის სახე, რომელსაც ვირტუოზულად ასახიერებს მსახიობი ა. მახარაძე.

შემდეგ ნ. გურაბანიძე გვთავაზობს გაზეთ „სეკოლოს" რეცენზიას სათაურით „მომაჯადოებელი რიჩარდი".

„შექსპირის ტრაგიკული ტექსტი რ. სტურუას მიერ დადგმულ პიესაში სახეშეცვლილია, იგი მდიდარია და სიმბოლური და მეტაფორული ალეგორიებით არის წარმოდგენილი, ტირანისა და ხელისუფლების ხელში ჩაგდების ვერაგული ზრახვები განუმეორებელი ინტერპრეტაციით გვიჩვენა რ. ჩხიკვაძემ, რ. სტურუას ამოუწურავი ფანტაზია ჩვენში საოცარ აღფრთოვანებასა და განცვიფრებას იწვევს. ახლახან ვნახეთ საუცხო „კავკასიური" და ახლა კი სულ სხვა სახით მოვლენილი, ასევე გასაოცარი „რიჩარდ მესამე". თეატრისა და რ. სტურუას ხელოვნებისათვის დამახასიათებელია დრამატურგის ტექსტის სრულიად თავისებური აღქმა და მისი გამდიდრება არა მარტო თავისი ერისათვის დამახასიათებელი მოტივებით, არამედ ისტორიული გამოცდილების შედეგად შეძენილი ურიცხვი ალეგორიებითაც".

გაზეთი „სტამპა" ასე ამთავრებს თავის რეცენზიას „კავკასიურზე": „სპექტაკლით ისე ვიყავით გართული, რომ დროის ხანგრძლივობა არ გვიგრძნია. სპექტაკლის შემდეგ ვიგრძენით ენერგიის საოცარი მომძლავრება, რომლის მიზეზი გახდა საუკეთესო მსახიობებისაგან შემდგარი დასის ხელოვნება, ასევე ენერგიის დამუხტვის შემდეგ შევძელით ამგვარი ოვაციით და ტაშით დაგვეჯილდოებინა ჩვენი სახელოვანი სტუმრები".

ჩვენი გუშინდელი სატელეფონო დიალოგის დასასრულ ჩავიწერეთ თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივის მილოცვა იუბილარი საბჭოთა საქართველოსადმი, მოზეიმე მშობლიური ხალხისადმი, რომელსაც აქვე, ზემოთ ვბეჭდავთ.

რ. მუხიგულაშვილი.

ქართველი ციმბირელები





ეს სურათები გადაღებულია ბაიკალ-ამურის მაგისტრალის 102-ე კილომეტრზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც 1975 წლის თებერვალში ვერტმფრინავმა გადმოსხა საქართველოდან ჩასული მშენებელთა პირველი ჯგუფი, რომლებსაც რესპუბლიკამ მიანდო მდინარე ნიასთან ციმბირის მიწაზე რკინიგზის სადგურისა და დაბის მშენებლობა.

უღრან ტაიგაში იზრდებოდა და მშვენდებოდა დაბა და საუკუნის მშენებლობის რუკაზე გაჩნდა ახალი პუნქტი — ნია-გრუზინსკაია. შენდებოდა იგი თბილისელ არქიტექტორთა პროექტების მიხედვით, რომლებმაც გაითვალისწინეს მცხოვრებლებისათვის აეგოთ თანამედროვე კეთილმოწყობილი ბინები, მაღაზიები, სპორტული მოედნები.

სურათზე: კომკავშირელი მურმან ბარბაძე დაბის საქვაბეში მუშაობს. ხწორედ იგი უზრუნველყოფს სითბოთი ქართველ ბამელებს; შენდება ხიდი.

საქინფორმის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ა. რუხაძის ფოტო.

საქართველოში, ალბათ, არც არის მეორე ისეთი რაიონი, სადაც იმდენი კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი იყოს თავმოყრილი, რამდენიც ასპინძის რაიონშია. აქ ყველა სოფელი ისტორიულია, ყველასთან უამრავი ლეგენდა თუ ამბავია დაკავშირებული. ერთმანეთს ენაცვლება ვარძია და ვანის ქვაბები. თმოგვის ციხე თუ ნაქალაქევისა და თმოგვის ქარვასლები, ჯოლდა და ფია, წუნდის ტბა, ეკლესია თუ ხიზაბავრის დარიჯები (როგორც მესხეთში უწოდებენ ტერასებს).

საქართველოს ეს კუთხე უწინ მეტად მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ამიტომაც არის, რომ აქაურები ხშირად ამბობენ, ჩვენში ყველაზე მეტი ნასოფლარიაო. დიახ, მტერთა ურიცხვმა შემოსევებმა თანდათან შეამცირა მოსახლეობა, რომელთაგან ზოგი ბრძოლის ველზე დაეცა და ზოგიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაიხიზნა. აქაურები იმასაც ამბობენ, მარტო ერთი სოფელი დან, ხიზაბავრიდან სხვადასხვა დროს გახიზნულებს კახეთისა და ქართლის რაიონებში ცამეტი სოფელი შეუქმნიათო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ სწორედ რომ სულზე მოუსწრო საქართველოს ამ კუთხეს. ცხოვრება ყველგ ჩადგა თავის კალაპოტში, ისევ გაიფოთლა ხე, ისევ გამოიტანა ნიშანი ვაზმა.

ასპინძის რაიონის მშრომელები, საქართველოს ყველა კუთხის მშრომელებთან ერთად, მესამოცე თავისუფალ მაისობას ზეიმობენ.

— ამ ადგილებს დღესაც ვენაწებს ეძახით, თუმცალა ვაზი დიდი ხანია აღარ არის, — გვეუბნება ხიზაბავრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე ვეფოჯანაშვილი, — უწინ, როდესაც ხალხს საკარგულები აღარ ყოფნია, ეს მთები დაუტერასებია და ბაღვენახი გაუშენებია. რამდენი ოფლია დაღვრილი ამ მიწაზე! მთის ალდოვანი ქანი ხეხილისათვის და ვაზისათვის ყვარგისია და ჩვენს წინაპრებს მტკვრის ჭალიდან გოდრებით ნაყოფიერი მიწა ამოუტანიათ. ან ამ ქვების ამოზიდვა რად ღირს, ალდოებად რომ აუშენებიათ რათა მიწა არ ჩამოტეხილიყო, ქართველი კაცი ჯაფას როდი გაურბოდა, მან იცოდა, რომ ამ მთების გეოგრაფიული მდებარეობა ბაღვენახისთვის ზიდგამჭრილი იყო. ქვაბში მოტანილი ამ ფერდობზე მზე მთელ დღეს ანათებს და მიწა დილიდან საღამომდე თითქმის თანაბარ ტემპერატურას ინარჩუნებს.

ვინ იცის, რამდენჯერ გაუპარტახებია მტერს ეს დარიჯები, რამდენჯერ აუკოცავს ვენახი, რამდენჯერ აუნეხავს ასწლოვანი კაკლები და თუთები, ვაშლები და მსხლები, ჭირმები და ატმები. მაგრამ ყველ შენდებოდა დარიჯები, ყველ ხარობდა ნერგი.

ყველაზე დიდი სირთულე ამ დარიჯების მორწყვა გახლდათ, რაც უამრავ მუშახელს თხოულობდა. თურმე სოფლის ყველა მეკოფური მორიგეობით რწყავდა ბაღ-ვენახს. წყალი ზემოდან, სოფლის მხრიდან, ყავლიანის კლდიდან ჩამოჰყავდათ და, ფერდა რომ არ დაეხრამა, ქვის კიბეებიდან გადმოჰყავდათ ბაქნებზე.

— დიდ სამამულო ომში ასპინძის რაიონიდან 1326 ვაჟკაცი წავიდა სამშობლოს დასაცავად, — გაგაგრძობს ა. ვეფოჯანაშვილი. — მათ შორის ბევრი ჩვენი სოფელი იყო. სოფელს მოაკლდა მუშახელი, მოხუცები და ბავშვები ვიდარ აუდიოდნენ ამ ძნელ საქმეს. მახსოვს, მე და ჩემი ტოლი, ცამეტოთთხმეტი წლის ბიჭები მტკვრიდან ვედროებით ვეზიდებოდით წყალს და შემორჩენილ ძველ თუთებს ვუსხამდით, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. გადახმა ბაღები, დაინგრა ქიდლები, ჩამოიქცა მიწა და პირუტყვთა საძოვრად იქცა ხიზაბავრის დარიჯები.

1976 წელს რაიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ტერასების აღდგენა. პირველად ჩვენ, ხიზაბავრელები, შევუდექით საქმეს, მაგრამ, ალბათ, ძალზე გაგვიჭირდებოდა, ამ პატრიოტულ თაოსნობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები რომ არ დაგვხმარებოდნენ, 1977 წელს პირველად გვაწვიეინენ ისინი და ჩვენი სოფლის მშრომელებთან ერთად თხუთმეტ ჰექტარზე აღადგინეს დარიჯები. დაირგო მესხური ჯიშის ხეხილი — შაქარვაშლა და მეფის ვაშლი, მამლო და რძის ვაშლი, გრძელყუნწა და ციტრუსოვანი, მსხვილი მსხალი და ნანაზირი, თავრეზული და კვერიუტავა, გოგრამსხალი და მესხური გულაბი. კვლავ, და ვინ იცის მერამდენედ, დაიხეიმა გადამზმარმა ალალებმა, გაცოცხლდა მიწა. ადგილობრივი მოსახლეობა უფრო დაინტერესდა მიწათმოქმედებით. ხალხმა თავის ბაღებში ახარა მესხური ჯიშების ვაზი — ალიკოტია, რქაწითელი და ცხენის ძუძუ.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, — ამბობს თავმჯდომარე, მომავალი არ გვაპატიებს უყურადღებას. დარიჯების აღდგენისას იმდენ მარანს და ქვევრს წავაწყდით, რატომ ათობით ჩაფ ღვინოს არ დაიტვიდა. ანდა, რა პასუხი გავცეთ ვარძიის (ვარიელ საწნახელს, ხომ უნდა გაიგოს აქაურმა ბლეხმა თავისი მიწის ნამდვილი გემო!

მართლაც წალკოტს ჰგავს აქაურობა. გაზაფხულზე ბაღ-ვენახში სამუშაოს რა დალევს. დიდი და პატარა თავს დასტრიალებენ ნორჩ ხეხილს, რწყავენ და აფხვიერებენ მიწას. მშობლებს გამოჰყოლიან სამუშაოდ თითისტოლა მესხი ბალღები, რომ წინაპრებივით ისწავლონ მიწის სიყვარული. სულ პატარები არიან ია შემაზაშვილი, მზია მურადაშვილი და ლია მეჭოშვილი, რომლებიც ნივრის თოზებით უჩვილებენ ნორჩ ნერგებს.

— რაც შეიზება მორწყვას, — გვეუბნებიან პარტიის ასპინძის რაიონული კომიტეტის აგიტაციისა-პროპაგანდის განყოფილების გამგე ნთელა მორადაშვილი და რაიონის რადიო-გადაცემათა რედაქტორი გიორგი ბერძენე, — ჯერჯერობით მოძრავი წყალსატუმბებით ვსარგებლობთ. ისინი მტკვარზე გვიდგას და წყალი მილებით ტერასების თავზე გადაგვყავს, საიდანაც დარიჯებს რწყავენ გიორგი გოგალაძე, გიორგი დათაშვილი და ზალეა ხუციშვილი, შოთა ქიღოშვილი და აგრონომი შალვა ხუციშვილი.

ამ რაიონისათვის საეტაპო იყო რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების 1977 წლის 10 მაისის დადგენილება ასპინძის რაიონის ეკონომიკური და კულტურული განვითარების ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილებაში ერთ-ერთ ძირითად საკითხად. წამოწეულია საერო-ხიზაბავრის სარწყავი მექანიკური წყალსატუმბის მშენებლობა, რომელიც გაასარწყავებს ამ სოფლების მიწებსა და მათ შორის ხიზაბავრის დარიჯებსაც მექანიკური წყალსატუმბი წლის ბოლოსათვის ჩადგება მწყობრში, რის შემდეგაც ნავარაუდევია, რომ ორჯერ გაიზრდება მარცვლეულის, კარტოფილისა და საკვები კულტურების მოსავალი და, რა თქმა უნდა, საბოლოოდ გადაიჭრება ხიზაბავრის დარიჯების გასარწყავების პრობლემაც, რომელსაც რაიონის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს.

მზრუნველი ხელი მართლაც ჩნდება აღდგენილ ტერასებს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღსადგენი და გასაკეთებელიც ბევრია, თუ კი უწინ ამ ადგილებში საქარავნო გზები გადიოდა, არც დღეს აკლია აქაურობას მნახველი, წლის ყოველ დროს მილეთის ხალხი სტუმრობს ჩვენს საამაყო კუთხეს. იმედია, რაიონის ხელმძღვანელობა და მშრომელები ყველანაკ გულისყურით მოეკიდებიან ამ მამულიშვილურ საქმეს.

გ. კაკუაშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ხიზაბავრის დარიჯები

„ხიზაბავრა დარიანი,
ღვინო იცის გვარიანი".
(ხალხური)

ყაბარი

სატურნირო ორგიტა

ველოსპორტი. მშვიდობის გლორბოლის მეთერთმეტე ეტაპი (ვალბეგან-ოპოლე, 192 კმ) მიიგო ბელგიელმა ერიკ სტესმა. ფინიშთან მეორე იყო ო. ლუდვიგი (გდრ). მესამე ადგილი დაიკავა ა. რუმ (პორტუგალია), პირად ჩათვლაში კვლავ შ. ზაგრეტდინოვი (სსრ კავშირი) ლიდერობს. გუნდურ ასპარეზობაშიც საბჭოთა ნაკრებია დაწინაურებული.

ფეხბურთი. გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურის ერთი მატჩი. ცსკა მიიღო სიმფეროპოლის „ტავრია". შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 1:0 ცსკას სასარგებლოდ.



ქულათა მაქსიმუმი

სსრ კავშირის ნაკრებს — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზი

გუშინ თბილისში დამთავრდა წყალბურთელთა საერთაშორისო მეჯიბრება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე. ბოლო ორ მატჩში ასეთი შედეგები აღინიშნა: სსრ კავშირ-რუმინეთი — 5:4, გფრ-კუბა — 13:8. **სსრ კავშირის ნაკრებმა ხუთივე შეხვედრა მოიგო, ქულათა მაქსიმუმი (10) დააგროვა და საქართველოს ჟურნალისტთა პრიზს დაეუფლა.** მომდევნო ადგილებზე არიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (8 ქულა), იტალიის (6), საქართველოს (4), კუბისა და რუმინეთის (თითო ქულა) წყალბურთელები.

სურათზე: სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი ა. კაბანოვი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზით.

ს. კილაძის ფოტო.

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

ახლო აღმოსავლეთი

აფეთქებასაშიში ვითარება

დამასკო. სირია იგერიებს ისრაელის მოქმედებას, რომლის მიზანია დაძაბულობის გამწვავება ახლო აღმოსავლეთში, და ახორციელებს მკაცრ ეროვნულ პატრიოტულ კურსს, რომელსაც ვერაფერი შეცვლის, ეყრდნობა სირიელი ხალხისა და მთელი არაბი ერის ნებას, განაცხადა სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა აბდელ რაუფ კასმმა.

ახლანდელი ამბები რეგიონში, თქვა მან ქვეყნის მინისტრთა საბჭოს აქ გამართულ სხდომაზე, ცხადყოფს, რომ სირიის ამგვარ კურსს ფართოდ უჭერენ მხარს არა მარტო არაბთა მასები, არამედ მსოფლიო საზოგადოებრიობაც, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირი და სხვა მეგობრული სოციალისტური ქვეყნები. ჩვენ, ხაზი გაუსვა პრემიერ-მინისტრმა, მზადყოფნის მდგომარეობაში ვართ და ვფხიზლობთ.

დამასკოში გრძელდება სირიის ხელმძღვანელობისა და სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელთა პოლიტიკური კონსულტაციები ახლო აღმოსავლეთში ტელავივის მიზეზით შექმნილ აფეთქებასაშიშ ვითარებასთან დაკავშირებით.

აქ მყოფმა მაროკოს მეფის პირადმა დესპანმა თავისი ქვეყნის სახელით განაცხადა, რომ მთლიანად უჭერს მხარს სირიელ ხალხს ისრაელის მხრივ საფრთხის წინაშე. სირიის მხარი დაუჭირა აგრეთვე ტუნისის წარმომადგენელმა.

ამერიკა-ხიზაბავრა

ტოკიო. 30 სამხრეთკორეელმა კათოლიკე მღვდელმა შიმშილობა გამოაცხადა თავიანთი მოთხოვნის მხარდასაჭერად, რომ გაათავისუფლონ კვანჯუს გახული წლის მაისის მასობრივი აჯანყების მონაწილე პატიმრები. შიმშილობა შეუფარდეს სეულის დამსჯელთა სასჯელიანი რეპრესიის წლისთავს, რომლის დროს დაიღუპა სამხრეთ კორეის სიდიდით ამ მესამე ქალაქის 3 ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები. მღვდლები მოითხოვენ აგრეთვე გამოაქვეყნონ სამართლიანი კვანჯუში სამხრეთ კორეის ჯარისკაცთა მხეცობის შესახებ.

ამერიკელ ბიზნესმენთა ინიციატივა

ნიუ-იორკი. ამერიკა-ხიზაბავრა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს ნიუ-იორკის განყოფილებამ ოფიციალურ ვაშინგტონს მიმართა მოწოდებით აღადგინოს ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ორგანიზაციის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ცდები დაუბრუნდეს „ცივი ომის" დროს, ქვეყანაში გაჩაღებული მილიტარისტული ისტერია ძვირად უჯდება ამერიკელ ხალხს. მშვიდობიანი დროისათვის სამხედრო ბიუჯეტის უპრეცედენტო ზრდა, რომელიც ახალ საფინანსო წელს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს 200 მილიონ დოლარს, მკვეთრად დასცემს ცხოვრების დონეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაართულებს ისედაც სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გამალებული შეიარაღება, რომელსაც აძლიერებენ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, გარდა იმისა, რომ ამერიკელ ხალხს უმძიმეს ტვირთად აწვება, სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, უფრო რეალურს ხდის თერმობირთვული ომის წარმოქმნის საშიშროებას.

ბოუნოდებენ თეთრ სახლს

ნიუ-იორკი. ამერიკა-ხიზაბავრა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს ნიუ-იორკის განყოფილებამ ოფიციალურ ვაშინგტონს მიმართა მოწოდებით აღადგინოს ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ორგანიზაციის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ცდები დაუბრუნდეს „ცივი ომის" დროს, ქვეყანაში გაჩაღებული მილიტარისტული ისტერია ძვირად უჯდება ამერიკელ ხალხს. მშვიდობიანი დროისათვის სამხედრო ბიუჯეტის უპრეცედენტო ზრდა, რომელიც ახალ საფინანსო წელს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს 200 მილიონ დოლარს, მკვეთრად დასცემს ცხოვრების დონეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაართულებს ისედაც სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გამალებული შეიარაღება, რომელსაც აძლიერებენ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, გარდა იმისა, რომ ამერიკელ ხალხს უმძიმეს ტვირთად აწვება, სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, უფრო რეალურს ხდის თერმობირთვული ომის წარმოქმნის საშიშროებას.

გამოაცხადეს შიმშილობა

ტოკიო. 30 სამხრეთკორეელმა კათოლიკე მღვდელმა შიმშილობა გამოაცხადა თავიანთი მოთხოვნის მხარდასაჭერად, რომ გაათავისუფლონ კვანჯუს გახული წლის მაისის მასობრივი აჯანყების მონაწილე პატიმრები. შიმშილობა შეუფარდეს სეულის დამსჯელთა სასჯელიანი რეპრესიის წლისთავს, რომლის დროს დაიღუპა სამხრეთ კორეის სიდიდით ამ მესამე ქალაქის 3 ათასზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები. მღვდლები მოითხოვენ აგრეთვე გამოაქვეყნონ სამართლიანი კვანჯუში სამხრეთ კორეის ჯარისკაცთა მხეცობის შესახებ.

ფსიქოლოგიური ომი სსრ კავშირის წინააღმდეგ

ვაშინგტონი. რ. რეიგანის ადმინისტრაცია ემზადება მკვეთრად გააძლიეროს ფსიქოლოგიური ომი სსრ კავშირისა და სოციალისტური ხუთა ქვეყნების წინააღმდეგ. ასე შეიფასეს აქ თეთრი სახლის მიერ გამოცხადებული პრეზიდენტის განზრახვა საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს დირექტორის მოადგილედ დანიშნოს პროპაგანდისა და საზოგადოებრივი აზრის დამუშავების ცნობილი „ექსპერტი" ჯეის კონკლინგი. იგი უფლემძღვანელებს სამმართველოს რადიომაუწყებლობის განყოფილებას, რომლის გამგებლობაშიც იმყოფება ვაშინგტონის მთავარი პროპაგანდისტული რუპორი — რადიოსადგური „ამერიკის ხმა". კონკლინგს პროპაგანდის დარგში მნიშვნელოვანი ნამსახურობის ნუსხა აქვს. 1965 წლიდან იგი მეთაურობს კელვეთის კორპორაცია „ბი-ი-აი" პროდაქშენს", რომელიც დასპეციალებულია კინო და სატელევიზიო გადაცემების პროდუქციის პროპაგანდისტული ზემოქმედების უფრო ეფექტიანი „კონცეფციების" კვლევა-ძიებაზე.

კონკლინგის დანიშვნა მხოლოდ ერთი ნაბიჯია იმ სერიიდან, რომელსაც ბოლო დროს მიმართავენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები საზღვარგარეთ „პროპაგანდისტულ — ძირგამმთხრელი მუშაობის" ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

მიმმხილველთა ყურადღებას არ გამოპარვია ის გარემოება, რომ ჯ. კონკლინგის დანიშვნა დაეპირეს პეროიდში, როცა შეერთებული შტატების ფსიქოლოგიური დივერსიები სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ, განსაკუთრებით პოლონეთის ამბებთან დაკავშირებით, ავყიაობისა და სიცრუის ისედაც უპრეცედენტო მასშტაბს აღწევენ.

პოლიტიკა მხატვრის თვალით



ამერიკის ახალი ადმინისტრაცია, რომელიც „შეერთებული შტატების საარსებო ინტერესების ზონად" ლამის მთელ მსოფლიოს აცხადებს, აჩქარებს გამალებულ შეიარაღებას, ცდილობს აღადგინოს ნეიტრონული ბომბის წარმოების გეგმები. (გაზეთებიდან).

მხატვრობა ამერიკულად
ნახატი გაზეთ „იუნგველტიდან" (გდრ).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07958 საქართველოს კპ ცკ-ის საბჭოთა ცხოვრების სტამბა, ლენინის ქ. 14. იგეგმება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ბოდბისხევის 29.

საკლესიასა და ახალი ამბების საგაზეთოს კორესპონდენტები გვაცყობინებენ

20 მაისი

მთავრობის კრიზისი დაძლიეს

სტოკჰოლმი. შვეციის პრემიერ-მინისტრად კვლავ აირჩიეს ცენტრის პარტიის თავმჯდომარე ტ. ფელდინი. ქვეყნის რიკსტაგში (პარლამენტში) მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 102 დეპუტატმა ცენტრის პარტიისა და სახალხო პარტიისაგან. წინააღმდეგ ხმა მისცეს დეპუტატებმა შვეციის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და მემარცხენე პარტიის — შვეციის კომუნისტებისაგან. უდიდესი ბურჟუაზიული ზომიერი კოალიციური პარტიის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს, რაც ტ. ფელდინის მხარდაჭერას ნიშნავდა.

ტ. ფელდინს უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მესამედ დაევალება მთავრობის ჩამოყალიბება, ამჯერად — უმცირესობისა, რომელშიც შევა ცენტრის პარტია და სახალხო პარტია, რომლებსაც რიკსტაგში 349 მანდატიდან 102 მანდატი აქვთ.

ამგვარად ბურჟუაზიულმა პარტიებმა შეძლეს დაეძლიათ მთავრობის კრიზისი.

კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტოს ცნობა

პნომპენი. კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობა იმის შესახებ, **რომ მიმდინარე წლის მაისის დამლევს მოწვეულია პარტ